მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ �მᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲐᲠᲘᲚᲘ (ᲜᲘᲡᲐᲜᲘ) 1-15 №7 (340) (5771) 2011

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲤᲔᲡᲐᲮᲡ — ᲔᲒᲕᲘᲠᲢᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ

ფესახი – ეს არის ებრაელთა – თორის ხალხის – დაბადების თარიღი. ეს ის პერიოდია, როდესაც ებრაელი ხალხისათვის მისი ისტორიის მანძილზე უდიდესი სასწაულები ხდებოდა. ეს ერთი მთლიანის ორი შემადგენელი ნაწილია. შემოქმედი სასწაულებს მოგვივლენს მაშინ, როდესაც ჩვენ ვასრულებთ მის ნებას. და ეს გასაგებიცაა. მან ხომ ჩვენ არჩევანი შემოგვთავაზა – ან უნდა ვიყოთ მისი მორჩილები, ან - მონათა მონები. ე.ი. ადამიანთა, იდეალების, ფულის და მრავალი სხვა ასეთის მონები. როდესაც ჩვენ მეორე გზას ვირჩევთ, ვექცევით მატერიალური ფაქტორების გავლენის ქვეშ. სწორედ ისინი გვმართავენ ჩვენ. ხოლო თორისა და მიცვების გზის არჩევის შემთხვევაში ჩვენ უშუალოდ შემოქმედის მმართველობის ქვეშ ვართ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ის, რაც ჩვენი გაგების მიღმაა, ის, რასაც ჩვენ სასწაულს ვუწოდებთ. როგორც ვიცით, ეგვიპტიდან გამოსვლისას, ებრაელები ალყაში მოექცნენ: ერთ მხარეს ფარაონის ჯარი იდგა, ხოლო მეორე მხარეს – ზღვა იყო. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ებრაელებმა დაიჯერეს, რომ გადარჩებოდნენ, რომ მათ გამჩენი დაეხმარებოდა, გაბედეს და შევიდნენ ზღვაში. სწორედ ამ გამოცდის წყალობით ავიდნენ ახალ სულიერ სიმაღლეზე.

ფესახს კიდევ ერთი უდიდესი დატვირთვა აქვს – ის არის ჩვენი თავმდაბლობის გამოხატვის მაგალითი, რადგანაც ჩვენ მივირთმევთ მაცას – თავმდაბლობის სიმბოლოს. ამ მცნების შესრულება როშ ჰაშანაში შოფარის მოსმენის მცნებას უტოლდება და გვათავისუფლებს, ან გვიმსუბუქებს მკაცრ სასჯელს. ეს მცნება გვმატებს სულიერებას და გვძენს ჭეშმარიტ თავისუფლებას.

ფესახის ისტორიიდან ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც დაიჯერა და აირჩია შემოქმედისადმი მსახურების გზა, დანარჩენები კი აღიგავნენ პირისაგან მიწისა. ისტორია მუდმივად მეორდება, შემოქმედის კანონები უცვლელია. იგივე არჩევანის წინაშე ვდგავართ ჩვენც. იყოს ნება შემოქმედისა, რომ დამდეგი ფესახი დაგვეხმაროს სწორი არჩევანის გაკეთებაში.

ყველას გისურვებთ ქაშერ და ბედნიერ ფესახს.

ᲐᲠᲘᲔᲚ ᲚᲔᲕᲘᲜᲘ
საქართველოს მთავარი რაბინი

ᲐᲕᲘᲛᲔᲚᲔᲮ ᲠᲝᲖᲔᲜᲑᲚᲐᲢᲘ
საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი

იწყება ჩვენი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვების დიდი დღესასწაული. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: ყოველი თაობის ებრაელმა ისე უნდა იცხოვროს, თითქოს თავად გამოვიდა ეგვიპტის ტყვეობიდანო, ეს კი ღვთის მცნებებთან განუწყვეტელ კავშირს, სამშობლოსათვის გარჯას ნიშნავს.

გთხოვთ საქართველოს ებრაელობას გადასცეთ ჩვენი კონგრესის გულითადი მილოცვა. საქართველოს ებრაული თემის ყოველ წევრს ვულოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს.

ჩვენი დიდი სურვილია, მუდამ გვახსოვდეს ის, რაც ამ დღეებში მოხდა: ქვეყნიერების შემოქმედმა ებრაელ ხალხს ზღვა დაუშრო და ხმელეთზე გაატარა, ამით აარიდა იგი მტრის მსახვრალ ხელს. ეს არ იყო ერთჯერადი აქტი. შემოქმედი ყოველ ეპოქაში მოიმოქმედებს სასწაულს ებრაელი ხალხის გადარჩენის, გამარჯვების მიზნით.

ასე იყო, ასე იქნება, თუ ჩვენ ღვთის მცნებებს არ დავივიწყებთ, მისი გზით ვივლით.

ურთიერთგაგებით, გაერთიანებით, ერთმანეთისაკენ სავალი გზების ძიებით შევეგებოთ დიდ დღესასწაულს.

მრავალს დაესწარით!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ **ᲑᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲛᲘᲠᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

3 ᲜᲘᲡᲐᲜᲘ, 5771 ᲬᲔᲚᲘ

ᲰᲐᲖᲔ ᲘᲡᲘᲜᲘᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ?!

სიტუაცია ასეთია:

მიმდინარეობს მხიარულთა და საზრიანთა სატელევიზიო თამაში. ტელეეთერში ერთი გუნდი ეკითხება მეორეს:

– ჰიტლერის ყველაზე ჯეთილი ქმედება?

გუნდი პასუხობს:

– უფასო გაზი ებრაული ოჯახებისათვის!

ისმის სიცილი, ხორხოცი, ხარხარებს თბილისური ბომონდი.

დიახ, ამგვარ პასუხზე ხორხოცობენ, იცინიან ჟურნალისტები, ხელოვანები, სპორტსმენები, ამათ შორისაა ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის მინისტრი ლადო ვარძელაშვილი. იგი ჟიურის წევრია. ამ „ხუმრობაზე" გულიანად იცინის ბ-ნი მინისტრი.

დღევანდელ საქართველოში ასე დასცინიან მეორე მსოფლიო ომის წლებში გაზის საკნებში გამომწყვდეულ და მოკვდინებულ, მილიონობით ებრაელს. თავი დავანებოთ ებრაელობას, ასე დასცინის მოკვდინებულ ადამიანებს!

– ჰა, ჰა, ჰა, ჰა! – ჰიტლერმა ებრაელები გაზით ისე გაგუდა, გაზის ფასი არ გადაახდევინა – იცინის, ხორხოცობს ბომონდი.

– ჰი, ჰი, ჰი, ჰი! – ებრაელებს გაგუდვაში ფული არ გადაუხდიათ – იცინის მინისტრი ვარძელაშვილიც ნაცვლად იმისა, რომ თქვას ის, რაც ასეთ შემთხვევაში უნდა თქვას ჯეთილშობილმა ადამიანმა, ფუნქციონერმა, მით უმეტეს – მას სახელმწიფომ ახალგაზრდობის საქმეთა გაძღოლა დაავალა.!

საქართველოში ასეთი რამ არ ყოფილა! საქართველოში მოკვდინებულ ადამიანებს არ დასცინოდნენ. ასეთი რამ არც სხვაგან ყოფილა. დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ შესაძლოა, არ გამოვრიცხავ, რომ იყო ჰიტლერის გარემოცვაში, მხოლოდ იქ, ჰიტლერის გარემოცვაში!

ყოჩაღ, ბიჭებო, ჯარგია!

ყოჩაღ, ბატონო მინისტრო, შესანიშნავად წარმართავთ ახალგაზრდობის საქმეებს!

ჩემს თავს უფლებას ვაძლევ ვთქვა:ისემც რა გითხრათ!

ქმედებას გიწუნებთ, ბატონო მინისტრო!

როგორც ჩანს, არიან ისეთნიც, ვისაც მოსწონს თქვენი საქციელი, მუშაობა, თორემ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ასეთი საქციელის გამო მინისტრი მეორე დღესვე ექსმინისტრი იქნებოდა, ტელეარხი, რომელიც ამგვარი უბადრუკობის ტირაჟირებას ეწევა, ძალიან მძიმე დღეში აღმოჩნდებოდა.

ეს ამბავი 2 აპრილს იყო ,,იმედის" ტელეეთერში, დღეს 14 აპრილია – გაზის საკნებში ჩახოცილ მილიონობით ებრაელის წინაშე ბოდიში არავის მოუხდია.

როგორც ჩანს, ყველაფერი მისაღებია!

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ერთი სასამართლო პროცესის ირგვლივ

როგორც საინფორმაციო პორტალი Izrus იტყობინება, მარტში ისრაელს არაოფიციალური ვიზიტით აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის ადმინისტრაციის თანამშრომლები ეწვივნენ. დელეგაცია 7 ადამიანისგან შედგებოდა. მათი სტუმრობის შესახებ ისრაელელების ძალიან ვიწრო წრეს ჰქონდა ინფორმაცია. იმ ადამიანებმაც კი, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ორმხრივი ურთიერთობის გამყარებისთვის ძალებს არ იშურებდნენ, ამ ვიზიტის შესახებ არაფერი იცოდნენ.

პორტალ Izrus-ს აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა შეატყობინა: „ჩვენი დელეგაციის ისრაელში ვიზიტის შესახებ განსაკუთრებული ინფორმაცია არ მაქვს. ცნობილია, რომ ეს არაოფიციალური ვიზიტი იყო. შეხვედრები, ძირითადად, ბიზნესმენებთან და პარლამენტარებთან შედგა.“

აფხაზეთი ყველანაირად ცდილობს გამოსვლას საერთაშორისო იზოლაციიდან, რაც საქართველოსთან კონფრონტაციას მოჰყვა. სოხუმი, რომელმაც უკვე ოთხი წელია მოსკოვისგან დამოუკიდებლობის აღიარება მოიპოვა, ისრაელთან კარგი ურთიერთობის დამყარებას ცდილობს. 2004 წლის ივლისში პრემიერ-მინისტრმა ვალერი არშბამ სახალხოდ გამოხატა იმის იმედი, რომ „ისრაელი ერთ-ერთი პირველი აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას“. 2008 წლის აგვისტოში, სამხრეთ ოსეთში ომის შემდეგ, აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა სერგეი შამბამ პორტალ Izrus–ს განუცხადა: „ისრაელი ჩვენთვის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა“. 2009 წლის ოქტომბერში მან დასძინა: „ისრაელში ძლიერი ადიღეურ-ჩერქეზული დიასპორაა, რომელთან კონტაქტიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.“

აფხაზეთი ისრაელში?

– ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლების ისრაელში ვიზიტის თაობაზე არ იყო ინფორმირებული – ამის შესახებ პორტალ Izrus-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს გენდირექტორის მოადგილემ პინხას ავივიმ შეატყობინა. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები აფხაზებს ვერ შეხვდებოდნენ: ისრაელი ამ რესპუბლიკის დამოუკიდებლობას არ აღიარებს. ამავე დროს, ავივი არ გამორიცხავს, რომ ისინი ბიზნესმენებს შეხვდნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზების ისრაელში გამგზავრების თაობაზე ინფორმაციას არ ფლობდა. ამის შესახებ 4 აპრილს გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა.

იერუსალიმი კონფლიქტს არ ამწვავებს!

– ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო ისრაელელი ბიზნესმენების – რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის გასათავისუფლებლად ძალებს არ დაიშურებს, მაგრამ არ ფიქრობს რომ ეს ინციდენტი თბილისსა და იერუსალიმს შორის განხეთქილების მიზეზად უნდა იქცეს – ამის შესახებ პორტალ Izrus ავტორიტეტულმა დიპლომატმა განუცხადა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით ფუქსს 7 წელი და 60000 დოლარის ჯარიმის გადახდა მიუსაჯეს, ხოლო ფრენკელს – 6 წელი ციხე და 30 ათასი დოლარის გადახდა.

მიხეილ მირილაშვილის კეთილი ნების მისია

თვალსაჩინო მეცენატი და ბიზნესმენი მიხეილ მირილაშვილი მარტის შუა რიცხვებში, კეთილი ნების მისიით თბილისს ეწვია. მას თან ახლდა რაბინი იაკობ გაგულაშვილი.

მიხეილ მირილაშვილის მიზანი გახლდათ გარდატეხის შეტანა რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის გახმაურებულ საქმეში, რომლებიც საქართველოში ოქტომბერში დააპატიმრეს.

მიხეილ მირილაშვილი თბილისში შეხვდა ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს, სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლებს, იურისტებს. ისაუბრა სასამართლო პროცესის წარმართვისა და საქართველოში სერიოზული ინვესტიციების თაობაზე. მიხეილ მირილაშვილი თბილისში ეწვია ბეით-ქნესეთს, შეხვდა ებრაული თემის წარმომადგენლებს. „მენორასთან“ საუბრისას მიხეილ მირილაშვილმა თბილისში ვიზიტი ასე შეაფასა:

– მჯერა საღი აზრი გაიმარჯვებს და საქმე ისე დამთავრდება, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩება.

ექსკლუზივი: დაკავებული ებრაელი ბიზნესმენები, შესაძლოა, გაათავისუფლონ

14:51 07.04.2011
[თეონა მანაგაძე]

„პრესა.ge“-ს ინფორმაციით, ებრაელი ბიზნესმენები, რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი, რომელთაც სახელმწიფო მოხელისთვის ქრთამის შეთავაზება ედებათ ბრალად, უახლოეს მომავალში, პატიმრობიდან გათავისუფლდებიან. ბიზნესმენების საქმესთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს. „საქართველოსა და ისრაელს შორის მეგობრული ურთიერთობის შესანარჩუნებლად, შესაძლებელია პოზიტიური შედეგიც მივიღოთ“, - განუცხადა „პრესა.ge“-ს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა. შეგახსენებთ, რომ ბიზნესმენები 2010 წლის ოქტომბერში ბათუმში დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ, რონი ფუქსს შვიდი, ზეევ ფრენკელს კი ექვსი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და ფულადი ჯარიმებიც დააკისრა.

- ორ სახელმწიფოს შორის, მეგობრული ურთიერთობა, გაუცხოებით შეიცვალა, რატომ?

- საქართველოს, პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართულებით, ისრაელთან ყველაზე ახლო ურთიერთობა აქვს. ქვეყნებს შორის კარგი დამოკიდებულება, ისტორიულად არის განპირობებული. ამჟამინდელი ურთიერთობა შეცვლილია, თუმცა, ეს ყველაფერი დაკავშირებულია ორი ებრაელი ბიზნესმენის დაკავებასთან. ამ ფაქტმა, ისრაელის საზოგადოებაში გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, დარწმუნებული იყავით, რომელიმე ქართველ ბიზნესმენს, ისრაელში, ეკონომიკის მინისტრისთვის ქრთამი რომ შეეთავაზებინა, ებრაელი სამართალდამცავები მასაც დააპატიმრებდნენ. ქართული სახელმწიფო ისრაელთან მეგობრულ ურთიერთობას ძალიან უფრთხილდება, რადგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ისრაელიდან ინვესტიციები შემოედინებოდეს.

- კულუარებში ამბობენ, რომ ებრაელ ბიზნესმენებს აუცილებლად გაათავისუფლებენ...

- საქართველოსთვის ყველაზე ღირებული კორუფციასთან ბრძოლაა და სწორედ კორუფციასთან დაკავშირებით არიან ეს ადამიანები დაკავებულები. თუ საქართველომ კორუფციის წინააღმდეგ პოზიციების დათმობა დაიწყო, ეს ჩვენი სახელმწიფოსთვის საზიანო იქნება. კომპრომისებზე წასვლა გამორიცხულია. არსებობს ინფორმაცია, რომ ებრაელმა ბიზნესმენებმა, შესაძლოა, საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების მოთხოვნით მიმართონ, ან კიდევ, სხვა ნაბიჯები იქნეს გადადგმული. თუ ასე მოხდება, მაშინ, ამაზე მსჯელობა გაიმართება.

- პრეზიდენტი შეიწყალებს?

- არ შემიძლია ამაზე პასუხი გაგცეთ. თუმცა, თუ ისინი საქართველოს შანტაჟს გააგრძელებენ, პოზიტიური შედეგი ძნელად მისაღწევი იქნება. ძალიან ბევრი რამ, მათი გადასაწყვეტია. მიმაჩნია, რომ ამ საკითხის პოლიტიზირება არ შეიძლება, რადგან ამან, შეიძლება, ორ ქვეყანას შორის არსებული კარგი ურთიერთობა დააზიანოს. ყველაფრის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, საქართველოსა და ისრაელს შორის ურთიერთობა ამ დასანანი ფაქტის გამო არ დაზარალდება.

- ებრაელმა ბიზნესმენებმა ქართული კანონმდებლობა არ გაითვალისწინეს. თუმცა, საქართველოს სასამართლომ მათ განაჩენთან დაკავშირებით შეცდომა ხომ არ დაუშვა, რადგან ბევრი პრეცედენტის გათვალისწინებით, შეიძლებოდა, მათ თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, მხოლოდ ჯარიმები დაკისრებოდათ.

- ბიზნესმენების დაკავების შემდეგ, სახელმწიფოსა და ამ ბიზნესმენებს შორის გარკვეული საუბრის შესაძლებლობები ამოწურული არ არის. მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ებრაელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა საქართველოს ხელისუფლებას მიმართეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით რიგი ნაბიჯები გადაიდგას. თუმცა, დეტალებისგან თავს შევიკავებ. ეს საქმისთვის საზიანო, რომ არ აღმოჩნდეს. საქართველოსა და ისრაელს შორის კეთილი ურთიერთობის შესანარჩუნებლად შესაძლებელია პოზიტიური შედეგიც მივიღოთ.

- ებრაელი ბიზნესმენების ფაქტი, საქართველოში ინვესტიციების შემოსვლაზე გავლენას მოახდენს?

- ფაქტმა, შესაძლოა, ინვესტიციების მოზიდვა დროებით შეაჩეროს, რომ დაკვირვება მოხდეს. თუმცა, ვინც ამ საქმეს გაეცნობა, დარწმუნდება, რომ ქართული მხარე, ბიზნესმენებთან მიმართებაში მართალია.

- ისრაელის მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი შრაგა ბროში დღეს, საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის წინააღმდეგ გამოვიდა. მანამდე კი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის ისრაელში ვიზიტი „დაიბლოკა“.

- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტის გადადება მოხდა და არა დაბლოკვა. რაც შეეხება, ორგანიზაციების თუ კერძო ასოციაციების პოზიციებს, მათ უფლება აქვთ საკუთარი მოსაზრებები გამოთქვან. ეს დაძაბულობა მაქსიმალურად განიმუხტება, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში იქნება გადაწყვეტილება მიღებული.

„ელბიტ“-მა საქართველოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა

როგორც ისრაელის მედია იუწყება, ქვეყნის ერთ-ერთმა წამყვანმა თავდაცვის კონცერნმა „ელბიტ მაარახოთ“-მა, თელ-ავივისა და ნიუ-იორკის ბირჟების საგანგებო კომუნიკეში განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ სასამართლო განხილვას იწყებს.

კომუნიკეს თანახმად, „ელბიტ მაარახოთ“-მა დიდი ბრიტანეთის სამართლიანობის უმაღლეს სასამართლოში 100 მილიონი დოლარის სარჩელი შეიტანა. კონცერნი ქართულ მხარეს კონტრაქტის პირობების დარღვევას ედავება.

კერძოდ, „ელბიტ მაარახოთ“-სა და საქართველოს შორის 40 უპილოტო საფრენი აპარატის ერმეს-450–ის მიწოდების თაობაზე ოფიციალური კონტრაქტი ჯერ კიდევ 2007 წელს გაფორმდა. როგორც ირკვევა, ებრაულმა კომპანიამ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა და 2008 წელს საქართველოს დაკვეთა შეასრულა, ანუ იარაღი მიაწოდა. თუმცა ოფიციალურ თბილისს დავალიანება დღემდე არ დაუფარია.

მიუხედავად იმისა, რომ „ელბიტ მაარახოთ“-ი საჯარო კორპორაციაა, ეს სარჩელი ორ ქვეყანას შორის ბოლო დროს საგრძნობლად დაძაბულ ურთიერთობებს კიდევ უფრო ამწვავებს.

შეგახსენებთ, ორი დღის წინ ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის შტაბმა საქართველო სტუმრობისთვის არარეკომენდებული ქვეყნების ნუსხაში შეიყვანა.

გამოსვლა

თავი მეთორმეტე

და უთხრა უფალმა მოშეს და აჰარონს
2. ეს თვე იყოს თქვენთვის დასაბამი
თვეებისა, პირველი (თვე) იყოს იგი თქვენთვის
წლის თვეთაგან.
3. ელაპარაკეთ მთელს ისრაელის თემს და უთხარით: ამ თვის მეათე დღეს მამისეულ სახლზე თითოეულმა კრავი აიყვანოს თავისთვის.
4. თუ სახლეული ისე მცირერიცხოვანია, რომ არ ძალუძთ შეჭმა კრავისა, მაშინ თვითონ და მის სახლთან ახლომყოფმა მისმა მეზობელმა სულადობის მიხედვით აიყვანონ კრავი, გაიანგარიშეთ, ვის რამდენის ჭამა ძალუძს.
5. სადი, მამრი, ერთწლოვანი უნდა იყოს კრავი, ცხვართაგან და თხათაგან აიყვანეთ.
6. და იყოს იგი თქვენთან დაცული ამ თვის მეთოთხმეტე დღემდე. მერე დაკლას ისრაელის თემის მთელმა კრებულმა საღამო ხანს.
7. აიღონ მისი სისხლისგან სცხონ იმ სახლის ორივე წირთხლსა და კადონს, სადაც შეჭამენ მას.
8. იმავე საღამოს შეჭამონ ცეცხლზე შემწვარი ხორცი. ხმიადებით და მწარე მწვანილეულით შეჭამონ იგი.
9. ნუ შეჭამთ მისგან უმს ან წყალში მოხარშულს. მხოლოდ ცეცხლში შემწვარი ჭამეთ თავფეხიანად და მისი შიგნეულითურთ.
10. ნუ დატოვებთ მისგან დილამდე. და თუ მისგან დარჩა დილამდე – ცეცხლში დაწვით.
11. ასე ჭამეთ იგი: წელზე სარტყელი გერტყათ, ფეხზე გეცვათ და თქვენს ხელთ იყოს თქვენი ჯოხი. აჩქარებით ჭამეთ. საუფლო ფესახია იგი.
12. გარდმოვალ ამ ღამით ეგვიპტის ქვეყნად და გავგმირავ ყოველ პირმშოს ეგვიპტის მხარეში ადამიანიდან პირუტყვამდე. და ეგვიპტის ყველა ღმერთს განვსჯი. მე ვარ უფალი.
13. და სისხლი გქონდეთ ნიშნად სახლებზე, სადაც თქვენ იმყოფებით. ვიხილავ სისხლს და გვერდს აგივლით. არ იქნება თქვენში შემმუსვრელი სენი, რაჟამს ეგვიპტელთა ქვეყნის გვემას დავიწყებ.
14. მოსახსენებლად იყოს თქვენთვის ეს დღე, იდღესასწაულეთ იგი საუფლო დღესასწაულად თქვენს თაობებში. სამარადჟამო წესად იდღესასწაულეთ იგი.
15. შვიდ დღეს ჭამეთ ხმიადი. პირველი დღიდანვე აღკვეთეთ საფუარი თქვენს სახლეულთაგან, რამეთუ ყოველი სული, მჭამელი საფუარისა პირველი დღიდან მეშვიდე დღემდე, მოიკვეთება ისრაელიდან.
16. პირველ დღეს წმიდა შეკრებილობაა, მეშვიდე დღესაც წმიდა შეკრებილობა გქონდეთ. ამ (დღეებში) არა საქმე არ გაკეთდეს. რაც თითოეულს საჭმელად სჭირდება, მხოლოდ ის გაკეთდეს.
17. დაიცავით უფუარობა, რამეთუ თვით ამ დღეს გამოვიყვანე თქვენი ლაშქრიონები ეგვიპტის ქვეყნიდან. დაიცავით ეს დღე თქვენს თაობებში სამარადჟამო წესდებად.
18. პირველი თვის მეთოთხმეტე დღიდან, საღამოდან, ოცდამეერთე დღის საღამომდე ხმიადები ჭამეთ.
19. შვიდ დღეს არ იპოვებოდეს თქვენს სახლებში საფუარი, რამეთუ გაფუებულის ყოველი მჭამელი მოიკვეთება ისრაელის თემისგან – მდგმურია ის თუ მკვიდრი ქვეყნისა.
20. საფუარიანი არაფერი ჭამოთ. ყოველ თქვენს სამყოფელში ხმიადები ჭამეთ.
21. უხმო მოშემ მთელი ისრაელის უხუცესობას და უთხრა მათ: წამოასხით, წამოიყვანეთ ცხვარი თქვენთვის და თქვენს საგვარეულოთათვის და დაკალით საფეხახო მსხვერპლი.
22. აიღეთ უსუპის კონა, ამოავლეთ სისხლში, რომელიც ჯამშია და წააცხეთ (სისხლი) კადონსა და ორივე წირთხლს სისხლიანი ჯამიდან და დილამდე თქვენგან არავინ გავა თავისი სახლის კარიდან.
23. და გაივლის უფალი ეგვიპტის შესამუსრავად, სისხლს დაინახავს კადონზე და ორივე წირთხლზე და გვერდს აუვლის უფალი (თქვენს) კარს. დამღუპველს არ მისცემს შესვლის უფლებას თქვენს სახლებში (თქვენს) შესამუსრავად.
24. წესად დაიცავით ეს თქვენთვის და თქვენს ძეთათვის, სამარადჟამოდ.
25. და როცა მიხვალთ იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი მოგცემთ, როგორც (მან) ილაპარაკა, დაიცავით ეს მსახურება.
26. და თუ შეგეკითხებიან თქვენი ძეები: ეს რა მსახურებაა თქვენთვის?
27. ეტყვით: ფესახის მსხვერპლიაო უფლისადმი, რომელმაც გვერდი აუარა ისრაელის ძეთა სახლებს ეგვიპტეში, ოდეს მუსრავდა ეგვიპტეს და იხსნა ჩვენი სახლები. მოიდრიკა ხალხი და თაყვანი სცა.
28. წავიდნენ ისრაელის ძენი და აღასრულეს. როგორც უბრძანა უფალმა მოშეს და აჰარონს, ისე აღასრულეს.
29. შუაღამისას უფალმა განგმირა ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყნად, ტახტზე მდჯომი ფაროს პირმშოდან საპყრობილეში ტყვექმნილ პირმშომდე და პირუტყვის ყოველი პირველმოგებული.
30. (ფეხზე) დადგნენ იმ ღამეს ფარო, მთელი მისი მორჩილნი და მთელი ეგვიპტე. შეიქმნა დიდი ღაღადი ეგვიპტეში, რამეთუ არ იყო სახლი, სადაც მკვდარი არ ჰყავდათ.
31. იხმო (ფარომ) მოშე და აჰარონი ღამით
და უთხრა: ადექით, გადით ჩემი ხალხისგან
თქვენც და ისრაელის ძენიც. წადით, ემსახურეთ უფალს, თქვენი სიტყვისამებრ.
32. თქვენი ცხვარ-ძროხაც წაიყვანეთ. როგორც ამბობდით, წადით და მეც მაკურთხეთ.
33. აიძულეს ეგვიპტელებმა ხალხი, მსწრაფლ გასულიყვნენ ქვეყნიდან, რამეთუ ამბობდნენ, ვკვდებითო ყველანი.
34. წაიღო ხალხმა თავისი ცომი სანამ გაფუვდებოდა. თავიანთი საფუარი გამოკრული ჰქონდათ თავიანთ სამოსლებში და ზურგზე მოკიდებული.
35. მოშეს სიტყვისამებრ მოიქცნენ ისრაელის ძენი და ითხოვეს ეგვიპტელთაგან ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი და სამოსელნი.
36. კეთილსახიერება უბოძა უფალმა ხალხს ეგვიპტელთა თვალში და მათაც ათხოვეს და გაძარცვეს ეგვიპტე.
37. და გაემგზავრნენ ისრაელის ძენი რამსესიდან სუქოთისკენ, წვრილშვილის გარდა ექვსასი ათასამდე ფეხოსანი მამაკაცი.
38. თან გაჰყვა მათ უამრავი უცხოტომელი ბრბო და ცხვარ-ძროხა, სამწყსო ფრიად დიდი.
39. გამოაცხვეს ეგვიპტიდან გამოტანილი ცომი ხმიადთა კოკრებად, რამეთუ (ცომი) ვერ გაფუვდა, რამეთუ გამოყარეს ეგვიპტიდან და ვერ შეძლეს დაყოვნება. საგზალიც არ გაუმზადებიათ.
40. ოთხას ოცდაათ წელს მკვიდრობდნენ ისრაელის ძენი ეგვიპტეში.
41. დასრულდა ოთხას ოცდაათი წელი და თვით ამ დღეს გამოვიდნენ უფლის მთელი ლაშქრიონები ეგვიპტის ქვეყნიდან.
42. ეს ღამე საუფლო საგუშაგოა, ეგვიპტიდან მათი გამოყვანის გამო. თვით ეს ღამე საუფლო საგუშაგოა ისრაელის მთელ ძეთათვის მათ თაობებში.
43. უთხრა უფალმა მოშეს და აჰარონს: ესაა ფესახის წესდება: უცხოტომელმა არ უნდა ჭამოს იგი.
44. ვერცხლით ნაყიდმა ყოველმა მონამ, თუ წინადასცვეთ მას, ჭამოს.
45. ახალმოსახლემ და მოჯამაგირემ არ ჭამოს იგი.
46. ერთ სახლში უნდა შეიჭამოს. არ გაიტანოთ ეს ხორცი სახლიდან გარეთ და ძვალი არ დაამტვრიოთ.
47. ისრაელის მთელმა თემმა გააკეთოს ეს.
48. რომ მდგმურობდეს შენთან მდგმური და აღასრულოს საუფლო ფესახი, წინადაუცვითე მის ყოველ მამრს და მაშინ შეუდგეს მის აღსრულებას და ქვეყნის მკვიდრად შეირაცხება, არავითარმა წინადაუცვეთელმა არ ჭამოს იგი.
49. ერთი მოძღვრება ექნეს მკვიდრსა და მდგმურს, თქვენს შორის რომ მდგმურობს.
50. აღასრულეს ისრაელის ძეებმა. როგორც უფალმა უბრძანა მოშეს და აჰარონს, ისე აღასრულეს.
51. თვით ამ დღეს გამოიყვანა უფალმა ეგვიპტის ქვეყნიდან ისრაელის ძენი მათი ლაშქრიონებითურთ.

თავი მეცამეტე

და ელაპარაკა უფალი მოშეს, ამ თქმით:
2. წმიდა ჰყავი ჩემთვის ისრაელის ძეთა ყოველი პირმშო, ყოველი საშოს გამღები, ადამიანიდან პირუტყვამდე. ჩემია იგი.
3. და უთხრა მოშემ ხალხს: გახსოვდეთ ეს დღე, როდესაც გამოხვედით ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან, რამეთუ ძლიერი ხელით გამოგიყვანათ იქიდან უფალმა. და არ ჭამოთ გაფუებული.
4. დღეს გამოდიხართ თქვენ გაზაფხულის თვეში.
5. როცა მოგიყვანს უფალი ქენაანელთა, ხეთელთა, ემორელთა, ხივიელთა და იებუსელთა ქვეყანაში, რომლისთვისაც ეფიცა უფალი შენს მამებს, რათა მოგცეს შენ ქვეყანა, სადაც მდინარებს რძე და თაფლი, ამ თვეს იმსახურე ეს მსახურება.
6. შვიდ დღეს ჭამე ხმიადი და მეშვიდე დღეს საუფლო დღესასწაული გქონდეს.
7. ხმიადი შვიდ დღეს უნდა იჭამოს. არ გამოჩნდეს შენთან გაფუებული, ნუ გამოჩნდება შენთან საფუარი მთელს შენს საზღვრებში.
8. და განუცხადე იმ დღეს შენს ძეს, ამ თქმით: ამის გამო აღასრულა ჩემთვის უფალმა, როცა ეგვიპტიდან გამოვდიოდი.
9. გქონდეს შენ ნიშნად ხელზე და სამახსოვროდ თვალთა შორის, რათა უფლის მოძღვრება იყოს შენს ბაგეებში, რამეთუ ძლიერი ხელით გამოგვიყვანა უფალმა ეგვიპტიდან.
10. იცავდე ამ წესს თავის დროზე, წლიდან წლამდე.
11. როცა მიგიყვანს უფალი ქენაანელთა ქვეყანაში, მოგცემს მას, როგორც შეგფიცა შენ და შენს მამებს.
12. გამოჰყავი უფლისათვის საშოს ყოველი გამპობი, ყოველი პირველმოგებული ნამატი პირუტყვისა, რომელიც შენი იქნება: მამრობითნი უფლისაა.
13. და ყოველი, რომელიც განაპობს საშოს სახედართაგან – კრავით გამოისყიდე. თუ არ გამოისყიდი, ქეჩო გადაუტეხე. ადამიანის ყოველი პირმშო შენს ძეთა შორის გამოისყიდე.
14. და ოდეს გკითხოს შენმა ძემ, ამ თქმით: ეს რა არისო? უთხარი მას: ძლიერი ხელით გამოგვიყვანაო უფალმა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან.
15. და როცა ფარო უარობდა ჩვენს გაშვებას, მოაკვდინა უფალმა ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყნად, ადამიანის პირმშოდან პირუტყვის პირველმოგებულამდე: ამიტომაც ვწირავ მე უფალს ყოველ მამრობითს, რომელიც განაპობს საშოს, ხოლო ჩემს ძეთა ყოველ პირმშოს გამოვისყიდი.
16. გქონდეს ხელზე ნიშნად და თვალთა შორის სამკაულად, რამეთუ ძლიერი ხელით გამოგვიყვანა უფალმა ეგვიპტიდან.
17. რაჟამს გაუშვა ფარომ ხალხი, არ წარმართა (იგი) ღმერთმა ფელიშთიმელთა ქვეყნის გზით, თუმცა ახლოს იყო ეს გზა. რამეთუ თქვა ღმერთმა, არამც შეიპყროს ხალხი სინანულმაო ომის ხილვისას და ეგვიპტეში არ დაბრუნდნენო.
18. და შემოატარა ღმერთმა ხალხი უდაბნოს გზით მეწამულის ზღვისკენ. შეიარაღებულნი ამოვიდნენ ისრაელის ძენი ეგვიპტის ქვეყნიდან.
19. თან წამოიღო მოშემ იოსეფის ძვლები, რამეთუ ფიცით აფიცა (იოსეფმა) ისრაელის ძენი ამ თქმით: მოკითხვით მოგიკითხავთ თქვენ ღმერთი და თქვენთან ერთად აიტანეთო აქედან ჩემი ძვლები.
20. გაემგზავრნენ სუქოთიდან და დაიბანაკეს ეთამში, უდაბნოს ბოლოს.
21. უფალი ვიდოდა მათ წინ, დღისით ღრუბლის სვეტით გზის საჩვენებლად, ღამით ცეცხლის სვეტით მათი (გზის) გასანათებლად, რათა ევლოთ დღითა და ღამით.
22. არ მოშორებია ხალხს დღისით ღრუბლის სვეტი და ღამით ცეცხლის სვეტი.

თავი მეთოთხმეტე

და ელაპარაკა უფალი მოშეს ამ თქმით:
2. ელაპარაკე ისრაელის ძეებს, დაბრუნდნენ ფიჰახიროთისკენ და დაიბანაკონ მიგდოლსა და ზღვას შორის, ბაალ-ცეფონის წინ. მის პირდაპირ, ზღვასთან დაიბანაკეთ.
3. და იტყვის ფარო ისრაელის ძეებზე: დაბნეულნი არიანო ისინი ამ ქვეყანაში, უდაბნომ გამოკეტაო.
4. გავამძვინვარებ ფაროს გულს და მათ უკან დაედევნება. განვდიდდები ფაროზე და მთელ მის მხედრობაზე და გაიგებენ ეგვიპტელები, რამეთუ მე ვარ უფალი და ასეც აღასრულეს.
5. ეუწყა ეგვიპტის მეფეს, რომ გაიქცა ხალხი. გადმოუტრიალდათ გული ფაროს და მის მორჩილთ ამ ხალხზე და თქვეს: ეს რა ვქენით, რომ გავუშვით ისრაელი ჩვენი მონობისაგან?
6. შეკაზმა ფარომ თავისი ეტლი და თან წაიყვანა თავისი ხალხი.
7. წაიყვანა ექვსასი რჩეული ეტლი, ეგვიპტის ყველა ეტლი და მათი მეთაურნი.
8. და გაუმძვინვარა უფალმა გული ფაროს, ეგვიპტის მეფეს და დაედევნა უკან ისრაელის ძეებს. და ისრაელის ძენი მაღალი ხელის (შემწეობით) გამოდიოდნენ.
9. უკან დაედევნა მათ ეგვიპტე და დაეწივნენ მათ ფიჰახიროთთან, ბაალ-ცეფონის წინ, ზღვის პირას დაბანაკებულთ ფაროს ცხენები, ეტლები, მისი მხედრები და მისი ჯარი.
10. მოახლოვდა ფარო, აღაპყრეს ისრაელის ძეებმა თავიანთი თვალნი და, აჰა, ეგვიპტე ვიდოდა მათ უკან. ფრიად შეეშინდათ და ისრაელის ძეებმა შეჰღაღადეს უფალს.
11. უთხრეს მოშეს: განა ეგვიპტეში არ იყო საფლავები, უდაბნოში რომ მოგვიყვანე სასიკვდილოდ? ეს რა გვიყავი, რად გამოგვიყვანე ეგვიპტიდან?
12. განა ამას არ გვეუბნებოდით შენ ეგვიპტეში, ამ თქმით: დაგვეხსენ ჩვენ და ეგვიპტელებს დავემონებით, რამეთუ უდაბნოში სიკვდილს ეგვიპტის მონობაში ყოფნა გვირჩევნია.
13. უთხრა მოშემ ხალხს: ნუ გეშინიათ, დადექით და იხილეთ უფლის ხსნა, რომელსაც მოიმოქმედებს დღეს თქვენთვის. რამეთუ ეგვიპტელებს, რომელთაც თქვენ ხედავთ დღეს, მეტს აღარ იხილავთ უკუნისამდე.
14. უფალი იბრძოლებს თქვენთვის და თქვენ გაჩუმდით.
15. უთხრა უფალმა მოშეს: რას შემომღაღადებ? უთხარი ისრაელის ძეებს და დაიძრან.
16. შენ კი კვერთხი აღმართე, შენი ხელი ზღვაზე გაიწოდე, იგი გააპე და ხმელეთად შევლენ ისრაელის ძენი შუაგულ ზღვაში.
17. და აჰა, მე გავამძვინვარებ ეგვიპტელთა გულს და ისინი მათ კვალს შემოჰყვებიან. და განვდიდდები ფაროზე. მთელს მის ჯარზე, მის ეტლზე და მის მხედრებზე.
18. და შეიცნობს ეგვიპტე, რომ მე ვარ უფალი, რაჟამს განვდიდდები ფაროზე. მის ეტლზე და მის მხედრებზე.
19. დაიძრა ისრაელის ბანაკის წინ მავალი ღვთის ანგელოზი და ვიდოდა მათ უკან. დაიძრა ღრუბლის სვეტი მათი პირისახისგან და მათ უკან დადგა.
20. მივიდა ეგვიპტელთა და ისრაელის ბანაკთა შორის. და იყო ღრუბლად და წყვდიადად (ეგვიპტელთათვის). გაასხივოსნა ღამე (ისრაელისთვის) და მთელ იმ ღამეს არ მიახლოვებიან ერთმანეთს.
21. და გაიწოდა თავისი ხელი ზღვაზე მოშემ და მთელი ღამე მიდენიდა უფალი ზღვას აღმოსავლეთის ძლიერი ქარით. ხმელეთად აქცია ზღვა და განიპნენ წყალნი.
22. ხმელეთად შევიდნენ ისრაელის ძენი შუაგულ ზღვაში: წყალი გალავნად ედგათ მარჯვნივ და მარცხნივ.
23. დაედევნენ ეგვიპტელები და მათ კვალს შეჰყვნენ შუაგულ ზღვაში ფაროს ცხენები,
მისი ეტლები და მისი მხედრები.
24. დაჰხედა დილის საგუშაგოზე უფალმა ცეცხლოვანი და ღრუბლოვანი სვეტიდან ეგვიპტელთა ბანაკს და ეგვიპტელთა ბანაკი არივ-დარია.
25. მოაცილა ბორბლები მათ ეტლებს და მართავდნენ ძნელად. თქვეს ეგვიპტელებმა: გარდავიხვეწოთ ისრაელისგან, რამეთუ მათთვის უფალი იბრძვის ეგვიპტელებთან.
26. უთხრა უფალმა მოშეს: გაიწოდე შენი ხელი ზღვაზე და მიიქცევა წყალი ეგვიპტელებისკენ, მათი ეტლებისა და მხედრობისკენ.
27. გაიწოდა მოშემ თავისი ხელი ზღვისკენ და განთიადისას ზღვა დაუბრუნდა თავის ბუნებრივობას. ეგვიპტელნი კი ილტვოდნენ (ზღვის) შესახვედრად და ჩაყარა უფალმა ეგვიპტელები შუაგულ ზღვაში.
28. მიიქცა წყალი და დაფარა ეტლები, მხედრები და ფაროს მთელი ჯარი, ზღვაში და შეჰყვნენ მათ კვალს. ერთიც არ გადარჩენილა მათგან.
29. და ისრაელის ძენი ხმელეთზე ვიდოდნენ შუაგულ ზღვაში, წყალი კი მათთვის იყო გალავნად მარჯვნივ და მარცხნივ.
30. იხსნა უფალმა იმ დღეს ისრაელი ეგვიპტელთაგან და იხილა ისრაელმა მოკვდინებული ეგვიპტე ზღვის სანაპიროზე.
31. იხილა ისრაელმა დიადი ხელი, რომლითაც უფალი ქმედობდა ეგვიპტელებზე. შეეშინდა ხალხს უფლისა და ირწმუნეს უფალი და მისი მსახური მოშე.

ებრაულიდან თარგმნა
შალომ დავიდმა

ლევან გახელაძე: ადამიანების, ხალხის მეგობრობა ყველაფრის მჯობნია

მარტის ბოლო დღეებში ისრაელს სტუმრობდა საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დელეგაცია. ამ ვიზიტთან დაკავშირებით „მენორას“ კორესპონდენტი შეხვდა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს – ბატონ ლევან გახელაძეს.

– ბატონო ლევან, რა იყო თქვენი ისრაელში წასვლის მიზანი?

– ჩვენ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მიწვევით ჩავედით. მცირერიცხოვანი დელეგაცია იყო. გახლდით მე, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური პროდიუსერი ბატონი ნიკა ცერცვაძე და ჩვენი თანამშრომელი, კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი. ჩვენი გამგზავრება რამდენიმე საკითხს უკავშირდებოდა: ისრაელში 30 წელზე მეტია არსებობს ისრაელის საზოგადოებრივი რადიოს ქართული რედაქცია და ამ რამდენიმე წლის წინათ გურამ ბათიაშვილმა ჩვენს მაუწყებელში დააყენა საკითხი, რომ ჩვენ უფრო სერიოზული და აქტიური კონტაქტი გვქონოდა ამ რადიოში მომუშავე ხალხთან – ჩვენს ეთერში გასულიყო მათი გადაცემები. ეს სწორია – „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რადიო არხი ტრანსლირებს „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის გადაცემებს, ადრე ტრანსლირებდა „რადიო თავისუფლების“ ქართული რედაქციის გადაცემებს, ისრაელის რადიოსთან კი, ამ მხრივ, ნაბიჯები გადადგმული არ იყო. პირადად ჩემთვის, და დარწმუნებული ვარ ქართული საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილისთვისაც, უფრო ახლობელი ქართველი ებრაელების მიერ მომზადებული გადაცემებია, რომლებშიც საუბარია ახლო აღმოსავლეთის პრობლემებზე, თუმცა ასევე დიდი დრო ეთმობა ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს. ეს საკითხი მოვაგვარეთ, საქართველოს რადიოს პირველ არხზე რეგულარულად დაიწყება ისრაელის რადიოს ქართული არხის პირდაპირი ტრანსლირება. გარდა ამისა, უკვე დიდი ხანია გვთხოვენ ჩვენი საარქივო მასალის გარკვეული ნაწილის გადაცემას. მოგეხსენებათ, საქართველოს რადიოს უნიკალური ოქროს ფონდი აქვს. ჩვენ ამ ჩანაწერების ნაწილი, რომელიც ჩვენ მეგობრებსა და კოლეგებს აინტერესებდათ, ისრაელს გადავეცით. 900-მდე დასახელების ფაილი იყო. ბედნიერები იყვნენ და ჩვენც ბედნიერები ვიყავით. გარდა ამისა, კვირაში ერთხელ ჩვენი კოლეგები მოამზადებენ ანალიტიკურ პროგრამას, ფაილს გადმოგვიგზავნიან და მას ჩვენს ეთერში გავუშვებთ. მეორე იყო ის, რომ როგორც იცით, ისრაელში არის ქართული საკაბელო ტელევიზია – „ჩვენი არხი“ შეიძლება ითქვას, რომ ტელევიზიას უფრო მეტად უჭირს. საქართველოს ტელეარხების გადაცემებს უჩვენებენ, საკუთარი გადაცემა კვირაში ერთხელ აქვს და ისიც რამდენიმე წუთიანი. ძალიან მწირი ბაზა აქვთ, საარქივო მასალების ნაწილი მათაც გადავეცით და მოთხოვნის შემთხვევაში მომავალშიც გადავცემთ. რადიოსგან განსხვავებით, მათ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული გეგმა თუ რა სჭირდებოდათ, ჩამოყალიბდებიან და ჩვენ უფრო აქტიურად ვითანამშრომლებთ. მესამე საქმიანი მიმართულება იყო ის, რომ ბატონ მიხეილ ჭიაურელს დიდი ხანია აქვს იდეა, გადაიღოს დოკუმენტური ფილმების ციკლი XX და XXI საუკუნის ტერორიზმზე, მის ფესვებზე, რატომ წარმოიქმნა იგი. ბუნებრივია, ამ მხრივ, პირველი საკონტაქტო ქვეყანა არის ისრაელი. იქ მცხოვრები ხალხი, ამ პრობლემას ყოველ წუთს საკუთარ ტყავზე განიცდის. მე ისრაელში პირველად ვიყავი და გავოცდი ამ ხალხის სიმტკიცითა და სიმშვიდით. ცდილობენ მაქსიმალურად გაწონასწორებულები იყვნენ. მოკლედ, ჩვენი მხრიდან ბატონ მიშას მხარდაჭერა აქვს და ჩვენს ებრაელ მეგობრებთან კონტაქტებიც ძალიან გვჭირდება. ისრაელში ამ მხრივ, პრობლემა ნამდვილად არ გვაქვს: ქალბატონი ნინო აბესაძე, რომელიც ისრაელში წასვლამდე ჩვენი თანამშრომელი იყო და ამჟამად ქნესეთის დეპუტატი და კონგრესის საპატიო ვიცე-პრეზიდენტია, ყველანაირად მხარში ამოგვიდგება, მოგვაწოდებს ფილმებისთვის საჭირო მასალებს. ისრაელში ხომ თავმოყრილია უდიდესი ტექსტუალური და ვიზუალური მასალა. გარდა ამისა, ჩვენი ებრაელი მეგობრები გვპირდებიან, რომ გაგვიყვანენ კონტაქტზე იმ ქვეყნებში, რომლებსაც აგრეთვე აწუხებთ ტერორიზმის პრობლემა, მაგალითად, შეერთებულ შტატებს, ესპანეთს, დიდ ბრიტანეთს. ახლო აღმოსავლეთშიც თავისთავად. ჩვენ გარკვეული გეგმა ჩამოვაყალიბეთ, კონგრესი ბატონ გაბრიელ მირილაშვილის ხელმძღვანელობით ძალიან დაინტერესდა ჩვენი იდეით და ისიც დაგვპირდა მხარდაჭერას. გვსურს, რომ ეს პროექტი არ იყოს მხოლოდ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“. გვინდა შევქმნათ ერთობლივი პროდუქცია. მაშტაბების გაზრდა გვინდა. ჩვენ შეიძლება ამ პროექტის განხორციელებაში მცირე წვლილი შევიტანოთ, მაგრამ, იდეა ჩვენი იქნება. ახლა ამ პროექტის გეგმა იწერება, შემდეგ გავუგზავნით ისრაელში ჩვენს მეგობრებს, რომელთა აზრიც ძალიან მნიშვნელოვანია და ზაფხულში უკვე გადაღებების დაწყებას ვგეგმავთ.

– რას გვეტყვით თქვენი ვიზიტის არასაქმიან ნაწილზე?

– ეს ცალკე თემაა. იქაურ ქართულ საზოგადოებას, მართალია საქართველოსთან კავშირი აქვს, მაგრამ აქ მცხოვრებ ცოცხალ ადამიანებთან ურთიერთობა მაინც ძალიან სწყურიათ. კონგრესის ინიციატივით შესანიშნავი საღამო შედგა, სადაც მიშამ თავისი რამდენიმე ნოსტალგიური ფილმი აჩვენა. იქაური საზოგადოებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ნოსტალგიური, ცოტა სენტიმენტალური ჩანახატები იყო სოფიკო ჭიაურელზე, ლევან თედიაშვილზე. მთელი დარბაზი ტიროდა. ეს ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. ახლა საბჭოთა კავშირის პერიოდი ხომ არ არის, რომ საზღვრები ჩაკეტილი იყოს და თავისუფლად ვერ გადაადგილდებოდე. კონტაქტი არსებობს, ტელევიზიით, ინტერნეტით, მაგრამ ცოცხალ ურთიერთობაში ყველაფერი მაინც სხვანაირად აღიქმება. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ნამდვილად ასე იყო. ის კიდევ სხვა თემაა, როდესაც იქ ქართველს შეხვდები. პირდაპირ გიჟდებიან სიხარულისგან. ერთი ქართველი ქუჩაში შემთხვევით გავიცანით. აღმოჩნდა შალვა შიმშილაშვილი, რაჭველი კაცი. იგი 20 წლის განმავლობაში 70-90–ან წლებში რაჭაში, პირველი არხის კორესპონდენტი იყო. როდესაც გაიგო, რომ ტელევიზიიდან ვიყავით, ძალიან გაიხარა. თელ-ავივიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარე პატარა ქალაქში ცხოვრობს, თავის თონე აქვს გაკეთებული და ქართულ პურს აცხობს, სახლში მიგვიპატიჟა, ხვანჭკარა დაგვალევინა, საკუთარი პატარა რაჭა აქვს მოწყობილი. ასეთი მომენტები ძალიან ამაღელვებელია. ცრემლს ვერ ვიკავებდი. ასეთ ურთიერთობას ფასს ვერ დაადებ. საოცრებაა, ადამიანი, რომელსაც სხვა ტომის წარმომადგენელი ჰქვია, აბსოლუტურად არ არის ჩვენთვის უცხო. ჩვენ იქ შევხვდით აქედან წასული ებრაელების მეორე და მესამე თაობას და ქართული ყველამ იცის, ზოგმა მეტად, ზოგმა – ნაკლებად, მაგრამ მაინც ლაპარაკობენ. ყველანაირად ცდილობენ, რომ აქაურობასთან კონტაქტი არ გაწყვიტონ.

– ბატონო ლევან, ისრაელში პირველად იყავით?

– კი პირველად. ისრაელზე უამრავი რამ მქონდა წაკითხული, თუ ეკრანზე ნანახი, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახი მაინც სხვაა. ქვეყანა, რომელიც 40-50 წლის წინათ კლდოვანი უდაბნო იყო მთლიანად აშენებულია, უღრანი ტყეები აქვთ გაშენებული. თითქოს წყლის პრობლემა აქვთ, მაგრამ ყოფით დონეზე ეს არ იგრძნობა. ამ ქვეყანამ შრომით, თავდადებით ძალიან ბევრს მიაღწია, წალკოტად არის ქცეული. გაგიჟდებით, მე ასეთი სიმწვანე არსად მინახავს. დიდი ყურადღება ეთმობა ისტორიულ ძეგლებს, ტურისტული ინფრასტრუქტურაც შესანიშნავად აქვთ განვითარებული.

– კარგი იქნებოდა ჩვენც აგველო მათგან მაგალითი...

– პირველ რიგში, რაც ჩვენი მეგობრებისგან უნდა ვისწავლოთ არის განუსაზღვრელი შრომისმოყვარეობა. ისრაელში არაფერია ისეთი, რაც საქართველოს აკლია. მართალია, ჩრდილოეთ ისრაელში დაახლოებით ისეთი ლანდშაფტია როგორიც საქართველოში, თუმცა, ქვეყნის დიდი ნაწილში მაინც ცუდი ბუნებრივი პირობებია. ამის მიუხედავად, მე ვერც ერთი დაუმუშავებელი და მოუვლელი კვადრატული მიწა ვერ ვნახე. შრომა, შრომა და შრომა. 7-მილიონიანი ქვეყანაა, ფართობით ჩვენზე მცირე და ბუნებრივი პირობებით უარესი. მთლიანი შიდა პროდუქტი, რასაც საქართველო მთელი წლის განმავლობაში აწარმოებს დაახლოებით 15-17 მილიარდი დოლარის ფარგლებშია, ისრაელში კი – 200 მილიარდია. აი, რაში უნდა გადმოვიღოთ მაგალითი. ეს ქვეყანა იმდენად ძლიერია, რომ არა მარტო თავის პრობლემებს უმკლავდება, რაც, დამერწმუნებით, ცოტა ნამდვილად არ აქვს, მხოლოდ არაბულ სამყაროსთან მუდმივი დაპირისპირება რომ ავიღოთ, არამედ იმდენი შესაძლებლობა აქვს, რომ თავის თანამოძმეებს საზღვარგარეთაც დაეხმაროს.

ნინო შავაძე

ევრ-აზიის ებრაული კონგრესი გვატყობინებს:

ივრითის პედაგოგთა ფორუმი

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი იუწყება, რომ კონგრესის გენერალური საბჭოს წევრები ევგენია მიხაილოვა (რუსეთი), ირინა შჩერბანი (რუსეთი) და ჯემალ აჯიაშვილი (საქართველო) მონაწილეობდნენ პარიზში გამართულ ებრაული თემებისა და ორგანიზაციების გენერალურ ასამბლეის მუშაობაში. სხდომები მიეძღვნა განათლებისა და ახალგაზრდობის პროგრამებს.

ფორუმში მონაწილეობდა ივრითის ასობით მასწავლებელი, თემების ხელმძღვანელები, ახალგაზრდა ლიდერები და დსთ ქვეყნების არაფორმალური ებრაული განათლების წარმომადგენლები. საპატიო სტუმრები გახლდნენ საფრანგეთის ტრანსპორტის მინისტრი ტერი მარინი, ისრაელის განათლების მინისტრი გიდონ საარი. ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა ალ. მაშკევიჩმა წერილობითი მიმართვა გაგზავნა. გადაწყდა შეიქმნას ევროპის ებრაელთა პარლამენტი, ასევე ებრაული ტელევიზია და ჟურნალი.

ახალი ბეით ქნესეთი

ბაქოში ახალი – მთიელ ებრაელთა ბეით ქნესეთი გაიხსნა. გახსნის ზეიმზე მოწვეული გახლდნენ რუსეთის, ისრაელის, აშშ-ს, მოლდავეთის, ლატვიის, თურქეთის, ყაზახეთის ელჩები. პირველი სიტყვა წარმოსთქვა მთის ებრაელთა თემის ლიდერმა სიმონ იხილოვმა. ისრაელის ელჩმა აზერბაიჯანში მიხაელ ლავონ-ლოტემმა მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ებრაულ თემზე ზრუნვისათვის.

ისრაელის მილიონერები და მილიარდერები

აშშ-ს ყველაზე დიდი სითი-ბანკის“ ცნობით, ისრაელში არის ექვსი ათასი ადამიანი, რომელიც მილიონობით დოლარს ფლობს. ასე რომ 1167 ისრაელელზე ერთი მილიონერი მოდის.

ისრაელში ცხოვრობს 7 ადამიანი, რომელთა ქონება მილიარდობით დოლარით განიზომება.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ერთი დოლარი სამნახევარი შეკელის ტოლფასია, მილიონერთა და მილიარდერთა რიცხვი შთამაგონებლად გაიზრდება.

ბესო მიხელაშვილი
ახლასავინყებელი მოგონებები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №5-6

მიმიწვიეს ცხაკაიის მეგრული სიმღერების სახელმწიფო ანსამბლში. მე კი ამისათვის დრო არ მქონდა და მატყობდნენ, რომ მთელი გულით არ ვიყავი, მაშინ (ომი იყო სასტიკი) სამხედრო კომისარიატში გამომიძახეს და მითხრეს, რომ რადიოშიც უნდა მემუშავა და ასევე სახელმწიფო ანსამბლში თუ უარს ვიტყოდი, ჯარში გაშვებას დამპირდნენ. აქეთ – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩემი საბუთების გაგზავნის შემდეგ (სადაც მისაღები გამოცდები არ ტარდებოდა მთელი ომიანობის პერიოდში) სახლში სამკურნალო ფაკულტეტზე ჩარიცხვის ცნობა მომივიდა და ოქტომბრისათვის (და არა სექტემბრისთვის) მოწვევა. უკვე ლექციებზე მიწვევდნენ. ამ გაწამაწიაში როცა ვარ, მშობლებმა სასწავლებლად არ გამიშვეს, რადგანაც შარშანდელი სტუდენტები, I კურსის შემდეგ ვინც ჯანმრთელი იყო, ყველა ჯარში გაიწვიეს და, ასე და ამგვარად, დავრჩი ცხაკაიაში უსწავლელად, სადაც სამხედრო კომისარიატმა დამადო ჯარში არგაშვების „ბრონი“ და ვმუშაობდი ცხაკაიის მომღერალთა გუნდში და რადიოში.

თითქმის 1 წლის შემდეგ ილო წირღვავა გადაიყვანეს პროფსასწავლებლის გაერთიანების დირექტორად და რადიო გადაცემათა დიქტორად, რედაქტორად კი მე დავრჩი. ასე გაგრძელდა სამამულო ომის დამთავრებამდე. ცხაკაიაში დიდი პატივით მიღებდნენ ყველგან, ყველა სტრუქტურაში. გამივარდა №1 ფანდურზე სოლისტის სახელი და რაიონულ ოლიმპიადაზე თბილისიდან ჩამოსულმა „ჟიურმა“, ჟიურში იყო პოეტი ამირან აფშილავა, ცხაკაიელი საქართველოში მთავარი, პაჭკორიას ანსამბლის სოლისტი და მეგრელი სიმღერების უბადლო შემსრულებელი ნიკო ხურცია და ცხაკაიის მომღერალთა გუნდი რემა შელეგიას ხელმძღვანელობით. ოლიმპიადაში გამარჯვებულად და თბილისში გასაგზავნად მრავალი ანსამბლის, მოცეკვავეებისა და სხვა მხატვრული წრეების გვერდით გამარჯვებული მხოლოდ მე, ჩემი ფანდურით გამგზავნეს თბილისში. ცხაკაიაში ეს კონკურსი მიმდინარეობდა ცხაკაიის საზაფხულო კინოთეატრის 300-400 კაციან დარბაზში, სადაც ფანდურზე შევასრულე ალექსანდრე გომიაშვილის ლექსი „ბელადის ფიცი“ და ბოლო კუპლეტის ბოლო სულ ტაშის გრიალში დავამთავრე. ასეთი იყო ჩემი ახალგაზრდობა, ასეთი იყო ჩემი დღისა და ღამის შრომა და ხალხის სიყვარული, რაშიც დიდი წვლილი ჰქონდა ჩემს ახალგაზრდულ გატაცებას.

თბილისში კი, რესპუბლიკური ოლიმპიადა მიმდინარეობდა, გრიბოედოვის ქუჩაზე, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც წინა დღით კომპოზიტორ გრიგოლ კოკელაძის გარდა ჟიურში 2 ქალბატონიც იჯდა და ჩემი „ბელადის ფიცის“ გარდა 2 სხვა სიმღერა (ვაჟა ფშაველაზე და „დაიგვიანეს“) შევასრულე და თვით კონცერტ-კონკურსზე კი მხოლოდ 2 სიმღერა მომცეს და ჩემი მთავარი სიმღერა „ბელადის ფიცი“ საჭიროდ არ სცნეს. ეს 2 სიმღერაც შევასრულე, მეორე დღეს კონკურსზე და შემდეგ გამარჯვებულთა ოლიმპიადაზე მიმიწვიეს ოპერის თეატრში ბევრ სხვა მონაწილესთან ერთად, სადაც ვიმღერე მხოლოდ „ვაჟა ფშაველაზე“, ხოლო უკვე 3 დღის შემდეგ მიმიწვიეს საქართველოს რადიოში, რომელიც მიჰყავდა ჭანიშვილის ქალს და რომელმაც რადიო მიკროფონთან განაცხადა, მოწვეული გვყავს საქართველოს ხალხური შემოქმედების ოლიმპიადაზე გამარჯვებული ფანდურზე მომღერალი ბესო მიხელაშვილი. აქ ვიმღერე 3 სიმღერა: „დიდო ბელადო სტალინო“, „ვაჟა ფშაველაზე“ და „დაიგვიანეს“. იქ გავეცანი საქართველოს რადიოს წამყვან დიქტორს, ჩემს საოცნებო დავით ძიგუას. იქვე სამიკროფონო სტუდიაში შესვლამდე წავიკითხე კედლის გაზეთი, სადაც ეწერა, რომ დიქტორმა დავით სპირალდმა თავის გადაცემას 6 წუთი ზედმეტი დროით გადააცილაო. თბილისში ამ მოგზაურობა-გამოსვლებში გვერდს მიმშვენებდა და მხარდაჭერას მაგრძნობინებდა ქ. ცხაკაიიდან ჩემთან დასახმარებლად ჩამოსული თანამგზავრი, ამ ქალაქის მუსიკალური სკოლის დირექტორი, მეტად განვითარებული, უნიჭიერესი კაცი, ჩემი მეუღლის ნორას უფროსი ძმა, დიდი ტალანტის მქონე მოცეკვავე, მუსიკოსი, (მუსიკოსი როიალზე), ფანდური და ასეთი სიმღერები მისთვის განვლილი გზა ყოფილა და მას სახლშიც მიუტანია ამბავი ამ კონცერტის შესახებ დისთვის და უბრალოდ უთქვამს, კარგი იყოო. მე თბილისში გამარჯვება დიდი ჯილდო მეგონა, მისთვის კი ეს ჩვეულებრივი შემთხვევა ყოფილა.

ჩემში დიდი კვალი დატოვა რადიოში მუშაობამ, მე მიყვარდა, სულით და გულით მიზიდავდა და აღვიქვამდი მას. მაგალითად, დავით ძიგუასთან შეხვედრა, რადგანაც მე ძლიერ მიტაცებდა მისეული წაკითხული „პრავდის“ მოწინავე წერილები და უმაღლესი მთავარსარდლის ყველა ბრძანება, ასევე ძლიერ ზემოქმედებას განვიცდიდი იგივე მასალების იური ლევიტანის მიერ წაკითხვისას, რომელიც ფიზიკურად სულაც არ ყოფილა ისეთი ბუმბერაზი, როგორც მისი ხმის მიხედვით მეგონა.

ჩემი სიმღერების რადიოთი გამოცემის მოსასმენად, როგორც შემდეგ მითხრეს, ცხაკაიას ბაღში დადგმულ ხმამაღალ დიდ რადიოს რეპროდუქტორთან მოსულან ქართველ ებრაელთა და ქართველთა (მეგრელთა) ოჯახები.

ჩავედი ცხაკაიაში. ყველა მახარებდა და მილოცავდა წარმატებას. მას შემდეგ წლები არ გასულა, რომ წავედი თბილისში ფოთის გ.პ.ი-ს ჰიდროსაღმშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი (ეს ფაკულტეტი გ.პ.ი-ს ფილიალი იყო ფოთში) და თხოვნით მივედი გ.პ.ი-ს რექტორ ქომეთიანთან, რომ ფოთელი სტუდენტი დავეშვი ლექციებზე ქ. თბილისში. მან ჩემი განცხადება გადასცა დაუსწრებელი განყოფილების დეკანს ბერაძეს, რომელმაც ლექციებზე დასწრების ნება დამრთო. აქ გაიბა ჩემს გულისწორთან დროებით თავშეკავებული ურთიერთობა, ისიც გადმოიხარა და მასშიც გაიღვიძა ჩვენმა ბავშვობის წარსულის გრძნობებმა. 1-2 წელი ვხვდებოდით ერთმანეთს და კიდევაც ახლობლების ინიციატივით დავინიშნე მასზე. 1951 წელს კი დავქორწინდით კიდეც. ჩემთვის ჩემი ცოლი ძალიან მოსაწონი იყო, ვხარობდი მისით. სიმამრმა ერთოთახიანი ბინაც გვაჩუქა. ის მზად იყო თავისი ნორასათვის სულიც მიეცა. ასეთივე სიყვარული ჰქონდა ჩემს მიმართაც. ჩემთვის არაჩვეულებრივი მოსაგონარია ჩემი დაოჯახება.

ჩემმა ბიძაშვილმა რობიკომ (იაშა ხახამ არონის ძე მიხელაშვილმა), რომელიც ჩემზე 15-20 წლით ადრე იყო ჩასული თბილისში და იქ ცხოვრობდა, მისი მეუღლე თამარ მიხაელის ასულთან და ვაჟიშვილებთან ერთად ძმასავით მიმიღეს თავიანთ ოჯახში და დიდი პატივი დამდეს. ამ აწ განსვენებულმა ცოლ-ქმარმა გაუგონარი მზრუნველობა გამოიჩინეს და სწორედ პატ. იაშამ (მათ ნეშამას განსვენება და არდავიწყება, ამენ! ქ-ნმა თამარმა თითქმის ძმად მიმიღეს და მეც ასე ვთვლიდი მათ. იაშამ ბიძგი მომცა, რომ ოჯახისათვის მასთან ერთად გამეჩინა შემოსავლის წყარო. ერთად დავიწყეთ მუშაობა სავაჭრო დარგში, სადაც თითქმის 10-12 წელი დავყავით. შემდეგ, მე მანამდე უკვე გ.პ.ი.-ს, განსხვავებული საგნების ჩაბარების შემდეგ დავამთავრე გ.პ.ი.-ს საფეიქრო საინჟინრო დართვისა და ქსოვის ტექნოლოგიის წოდებით, რაც ზუსტად შეესაბამებოდა ჩემს შემდგომ საქმიანობას. 15 წელი ვიმუშავე თბილისის შალის საქსოვ ფაბრიკაში ჯერ ღებვის სპეციალობით, შემდეგ კი მომარაგება-გასაღების შალის საქსოვის უფროსად და დირექტორის მოადგილედ. ასევე ვიმუშავე 18-20 წელი თბილისის საფეიქრო-საგალენტერიო ფაბრიკა „კომსომოლკაში“-ში, მომარაგება-გასაღების უფროსად და შეთავსებით დირექტორის მოადგილედ.

მე უკვე 2 ვაჟიშვილი მყავდა და ოჯახურ ფერხულში ვიყავი ჩაბმული. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში, რომელშიც შედიოდა ჩემი დასაქმების ორივე ფაბრიკა, დიდ წარმატებას მივაღწიე. მთელი ამ სამინისტროს სისტემის საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ამ სისტემის ფაბრიკებში და თვით სამინისტროს აპარატში, სადაც 4 მინისტრი და 23-25 მოადგილე გამოვიარე, ამ ფაბრიკა-კომბინატებში ყველასათვის სანატრელ და საპატიო პიროვნებად ვითვლებოდი. თვით მინისტრებმა და მოადგილეებმა ხომ ფრთები შემასხეს. ყველაზე ძლიერი და დაუნდობელი მინისტრიც – მიხეილ ფილიპეს ძე ჩხეიძეც ბოლოსდაბოლოს შეეჩვია იმ აზრს, რომ მე საქმოსანი კი არა, სისტემის, ჩემი ფაბრიკის მისი გეგმების და სხვა დავალებების შესრულებაში ხუთოსანი ვიყავი. მან ერთხელ დამიბარა და მითხრა: ვიცი, რომ მაგარი მომმარაგებელი და საქმოსანი ხარ და ახალა გამოგცდიო. ის მინისტრად ახალი გადმოყვანილი იყო 15 ათას მუშიანი ფაბრიკა „ისანი“-დან. დამავალა, რომ მეშვნა 50-ტონიანი შიგნიდან ემალირებული 5-6 ცალი უზარმაზარი რეზერვუარი პერეგიდროლისათვის და ამის შემდეგ გავიგებ, ვინც ხარო. ვნახავ-მეთქი, ვუთხარი. წამოვედი და იქვე დავრეკე მოსკოვში, ჩემთან იმ პერიოდში მომუშავე ალბერტ იაკობაშვილის ძმასთან, „გლავსნაბის“ კანტორაში, მოსკოვში ლენინის ბიბლიოთეკის გვერდით, ვალხონკის ქ. №6-ში, უფროსს საქონელმცოდნე ჩემს დიდ ძმაკაცთან მიშა იაკობაშვილთან, რომელმაც ჩემი თხოვნა ჩაიწერა და მითხრა, ხვალ დამირეკე და გეტყვი პასუხსო. იმავე საღამოს მიხაილ დანიელოვიჩმა სახლში დამირეკა, მე მგონია ვიშოვეო. წამოიღე თხოვნა-წერილი თვით მინისტრის ხელმოწერით და ჩამოდი, გელოდებიო. მეორე დღეს მივედი მინისტრის მდივან იულიასთან, ვუთხარი ყველაფერი, რომ მინისტრის ხელმოწერით მინდა წერილი „გლავსნაბის“ სამინისტროში, სადაც „გლავსნაბის“ უფროსად მუშაობდა კოსიგინის ერთ-ერთ მოადგილე ბინიამინ დიმშიცი. მეორე დღესვე იულიამ დარეკა ფაბრიკაში და მითხრა, რომ წერილი მზადაა. მეც ავედი და წამოვიღე და მეორე დღესვე გავფრინდი მოსკოვში. ჩემი საქმის ამხანაგები (8 კაცი ვიყავით მოწილეები, ყველა ებრაელები, იოსკა ელაშვილის და შალვა სეფიაშვილის ხელმძღვანელობით), ტაქსით აეროპორტიდან პირდაპირ მივედი მიხაილ დანიელოვიჩთან, გადავკოცნეთ ერთმანეთი და მივეცი წერილი. მან კი დარეკა ბინაში და ცოლს უთხრა (დიდებული ცოლი ჰყავდა), ბესიკია ჩამოსული, ამაღამ ამოვალთო და მოამზადე რაც გინდაო. მე კი მასთან სახლში მისვლა არ მინდოდა, ჩემი ამ საქმის ბედი მაინტერესებდა – ნუ დარდობო, ყველა ღონეს ვიხმარო, ახლა კი სახლში წავიდეთო. უკვე თითქმის საღამო იყო, წავყევი მიშას სახლში, ჩასოვაიას ქ. 17-ში. მისმა მეუღლემ გააწყო სუფრა, მოიტანა „ხენაგი“, შემწვარი ინდაური, ხიზილალა, სალათები, ღვინო და სხვა სასმელები და უზბეკური ნესვიც მოგვართვა. პურ-მარილის შემდეგ წავედი სასტუმრო „როსია“-ში, სადაც თბილისიდანვე მქონდა დარეკილი, მისვლისთანავე შევავსე ანკეტა და მოვეწყვე 1 ადგილიან ნომერში. მეორე დილით მივედი მიხეილ დანიელოვიჩთან სამსახურში, იქვე ადგა და წავედით სასტუმრო ლენინგრადის ახლო ქუჩაზე „სოიუზგლავსნაბ“-ში. მიშა მივიდა მე-3 სართულზე ერთ-ერთ მოადგილესთან და გამოიტანა წერილი რეზოლუციით გთხოვთ, დაეხმაროთ, თან გამოიყოლა იმავე სართულზე და შევედით ერთ-ერთ ოთახში, იქვე მჯდომ ქალს მისცა ეს წერილი, თან უთხრა, ეს კაცი მაგისთვისაა ჩამოსული და როდის მოვიდეთო, ქალმა გვითხრა – დღეს გადავრეკავ ურალში და ხვალ დილით მობრძანდითო. მეორე დილით მივედით და იმ თანამშრომელმა ქალმა ხელზე მოგვცა 6 ცალი რეზერვუარის „ნარიადი“. ურალში ყოფილა სადღაც მაგის ქარხანა, ამ ჭურჭლის ემალირება შიგნიდან, ვფიქრობ მძიმე პოზიცია იყო, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ გაკეთდა და მინისტრ ჩხეიძესთან ავტორიტეტი კიდევ მეტად ამეწია.

დილით მიხეილ დანიელოვიჩი დავპატიჟე რესტორანში სადილზე, იქიდან ტელეფონით დავრეკე ჯერ ოჯახში და შემდეგ სამსახურში, შალვა ფილხაზის ძესთან. ძალიან გაეხარდათ მინისტრთან და მოადგილეებთან ჩემი ავტორიტეტის აწევა, რადგანაც, იმ პერიოდში ეს ნიშნავდა მთელი ჩემი მოსაქმეების, (8 ამხანაგის, ქართველი ებრაელების) წარმატებას, მათ შორის აწ განსვენებული იოსკა (იოსებ) შელომის ძე ელაშვილი, ისეთი ცოდნისა და გამოცდილების ადამიანი, რომ მისი ტალანტი და ცოდნა ერთდროულად ორი სამინისტროს ხელმძღვანელობისთვისაც კი იყო საკმარისი, თუმცა მას თანამდებობა და ქება სრულებით არ აინტერესებდა. იგი იყო კულაშში დაბადებული და გაზრდილი და შემდეგ მთელი დედმამიშვილებით და ოჯახებით ბათუმში მცხოვრები და მოსაქმე ოჯახის უძვირფასესი მამის, შელომო ელაშვილის უფროსი ვაჟიშვილი, მეორე ვაჟიშვილი შელომოსი იყო ისევ ბათუმელი, თბილისში პირველ ფაბრიკად მიღებულ „სპორტში“ მეწილე და მომუშავე შოთა ელაშვილი. ასევე ველაპარაკე ტელეფონით შალვა სეფიაშვილს, რომელიც ჩემი ამ წარმატებით აღტაცებული იყო და სულ „ყოჩაღ, ყოჩაღო“ მეუბნეოდა. მე თბილისში ამ დროს კარგ საქმეში ვიყავი, მაგრამ კარგი საქმე იმით იყო, რომ მე მყავდა 8 კაცი, ვიყავით მეწილეები, მაგრამ თითოეული ამათგანი უმაღლესი ხარისხისა იყვნენ, როგორც საქმის სიყვარულით, მონდომებით და უნარით, ასევე კაცურ-კაცობითა და ნიჭიერებით. ერთი ბესო ოჩეხაშვილი ღირდა ნახევარ თბილისად და რა დასანანია, რომ იგი ამის შემდეგ სამსახურის პერიოდში ავტოავარიაში დაიღუპა. მისგან ნაგრძნობი ძვირფასი ურთიერთობისთვის, ჩემი წინადადებით ამხანაგებში, ჩვენი საქმიანობის ბოლომდე, 1972 წლამდე მისი წილის ოჯახისათვის მიწოდება არ შეგვიწყვეტია, რაც მე გულში საამაყოდ და მის სახელის უკვდავყოფისათვის მაქვს შემონახული. მეორე დღეს მე უკვე თბილისში ვიყავი. აეროპორტიდანვე პირდაპირ სამსახურში გავიარე, რადგანაც აეროპორტთან ახლოს ვმუშაობდით. ჩემი ამხანაგების უმეტესობა სიხარულით შემხვდა. ზოგს კიდევ, ალბათ შეშურდათ ჩვენი წარმატება. უეკლოდ ვარდი არ არის, ისიც თან ახლავს. სახლშიც გადავრეკე, ჩემმა ისედაც მოსიხარულე ცოლმაც გაიხარა. იმ დღეს დავრეკე სამინისტროში, მინისტრის მოადგილე აფაქიძესთან და კაპიტალური მშენებლობის უფროსთან, გუგული ილიჩ შათაშვილთან (უძვირფასესი კაცი და ჩემი დიდი მეგობარი). მათაც გაიხარეს და ვუთხარი, რომ „ნარიადს“ ხვალ ამოვიტან-თქო. (ეს პოზიცია ამ ორი კაცის ფუნქცია იყო).

(გაგრძელება იქნება)

პატივცემულ მირილაშვილების

ოჯახს!

ძვირფასო ოჯახო!

მწუხარებით შევიტყვე, თქვენი ოჯახის უფროსის, მოშე (მიშიკო) მირილაშვილის გარდაცვალების შესახებ.

ძნელია შეაფასო, ბატონი მიშიკოს წვლილი ისრაელის ქვეყანაში ქართველი ებრაელების დამკვიდრების საქმეში.

მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი დაუღლელად მოღვაწეობდა, რათა წარმოეჩინა ისრაელში ქართველ ებრაელთა თემი და მისი მდიდარი კულტურა. მონაწილე ვარ თქვენი ღრმა მწუხარებისა. მხურვალედ გართმევთ ხელს.

შიმონ პერესი
ისრაელის ქვეყნის პრეზიდენტი
იერუშალაიმი, 22 აპრილი 2009 წელი

პატივცემულ გაბრიელ მირილაშვილს

ძვირფასო გაბრიელ,

ვიზიარებ თქვენს მწუხარებას მამათქვენის – საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის მოშე მირილაშვილის უდროო გარდაცვალების გამო. ნათელში ამყოფოს მისი სული. გთხოვთ, გადასცეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი განსვენებულის ოჯახის წევრებს. აღარასოდეს განგეცადოთ მსგავსი ტკივილი.

ბინიამინ ნათანიაჰუ
ისრაელის პრემიერ მინისტრი
12. 04. 09

წიგნი ამაგდარზე

„...ჩვენ შენ გაფასებდით.

შენ იყავი ამაყი ებრაელი, კაცი, რომელსაც არ შეეძლო შეგუებოდა მისი ხალხის გაჭირვებასა და ხელმოკლეობას. არ ყოფილა ვინმეს დახმარება ეთხოვა და შენ ხელი არ გაგეწოდებინა მისთვის.

შენნაირ ადამიანებზე არის ნათქვამი – ვინც საზოგადოებრივი საჭიროებისათვის იღვწის, ის ღმ-თისგან მიიღებს ამის სამაგიერო გასამრჯელოსო.

მე იმედი მაქვს, რომ სიკვდილის შემდეგაც, შენ იქნები ჩვენი წარგზავნილი ქვეყნიერების გამჩენთან.

თუ შენ ამქვეყნიურად შენი ორი ვაჟკაცი მიხაელი და გაბრიელი გიმშვენებდნენ გვერდს, იქაც, იმქვეყნიურადაც არსებობენ მიხაელი და გაბრიელი და ის ორი ანგელოზი დაგიდგება გვერდით.

...და შესთხოვ ღმ-თს – ისრაელის ქვეყნის სიძლიერეს, რომელიც შენ ასე გიყვარდა, რომელსაც ასე სჭირდება შენნაირი ადამიანები თავისუფლებისა და აყვავებისათვის.

შენი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენს გულებში, ჩვენს მეხსიერებაში და ისრაელის ქვეყნის ისტორიაში.“

რუბი რივლინი – ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარე

ეს სამძიმრის გამომხატველი ტექსტები ამოღებულია წიგნიდან, რომელიც ახლახან გამოიცა ისრაელში და ეძღვნება საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პირველი პრეზიდენტის, ქველმოქმედისა და მეცენატის მოშე (მიშიკო) მირილაშვილის ნათელ ხსოვნას.



წიგნის რედაქტორი გახლავთ დოქტორი დავით შიმშილაშვილი, მასალების შეგროვება, კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი მაია ბენ იოსებ-შიმშილაშვილისა.

ძნელია ჩამოთვალო წიგნის ყველა ავტორი, ამ წიგნში შეხვდებით თანამედროვე ქართველი ებრაელობის მრავალი ღირსეული წარმომადგენლის სახელს, ამიტომ ძნელია არ დაეთანხმო დ. შიმშილაშვილს, რომელიც შესავალში წერს: „ეჭვგარეშეა, რომ ამ მასალების გაცნობა თვალნათლივ დაანახვებს ქართველ ებრაელთა ცხოვრებით დაინტერესებულ მკითხველს, თუ როგორ პირნათლად მოიხადა თავისი ადამიანური ვალი მოშე მირილაშვილმა ჩვენი თემის, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე“.

წიგნი უხვად არის ილუსტრირებული, ფაქტიურად ეს არის წიგნი-ალბომი თანამედროვე ქართველი ებრაელობის გამორჩეულ წარმომადგენელზე.

წიგნზე მუშაობისას გაწეული ღვაწლისათვის მადლობა უნდა ვუთხრათ დ. შიმშილაშვილს, რომელმაც ასევე მოიხადა თავისი ადამიანური ვალი.

კაბალისტები თბილისში

მეცნიერება კაბალა მრავალი საუკუნეა არსებობს. მისი ჩასახვის პერიოდში ადამიანები გაცილებით ახლოს იყვნენ ბუნებასთან, ვიდრე ახლა. ისინი გრძნობდნენ ბუნებასთან მყარ კავშირს და უფრთხილდებოდნენ ყველაფერს – რაც მათ ირგვლივ იყო. იმ დროს საზოგადოება ბუნების ნაწილს წარმოადგენდა და ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა მოვლენებს. ბუნების კანონების არასაკმარისი ცოდნა ხალხს არ აძლევდა საშუალებას, თავი დაცულად ეგრძნოთ: მათ ეშინოდათ სტიქიური მოვლენების და ძალაუნებურად ყველაფერს უზენაეს ძალებს აბრალებდნენ.

ბუნებასთან მჭიდრო კავშირისა და ამასთან ერთად, მისი შიშის გამო, ხალხი მიისწრაფოდა არა მარტო გარემოს შესაცნობად, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანის, გასაგებად: ვინ თუ რა მართავს მათ.

ბუნების პირველ შემცნობ ადამიანებს აინტერესებდათ აქვთ თუ არა რაიმე მიზანი, და თუ აქვთ, მაშინ რა როლი აკისრია კაცობრიობას შემოქმედის საერთო ნახელავში. მათ, რომლებმაც შეიცნეს შემოქმედის ჩანაფიქრი, „კაბალისტები“ ეწოდათ.

ტერმინი „კაბალისტი“ წარმოსდგება ებრაული სიტყვისგან „კაბალა“, რაც ნიშნავს „მიღებას“. კაბალის ენას წარმოადგენს ივრითი. ბევრი კაბალისტური წიგნი სხვა ენებზეც არის დაწერილი, მაგრამ ძირითადი ტერმინები ყოველთვის ივრითზე გამოითქმის.

კაბალისტისთვის „შემოქმედი“ განისაზღვრება, არა როგორც კონკრეტული ზებუნებრივი მატერია, არამედ როგორც შემდეგი საფეხური, რომელზეც ადამიანი უნდა ავიდეს, უფრო მაღალი დონის ცოდნის შეძენის შემდეგ. ივრითზე სიტყვა „შემქმნელი“ ჟღერს როგორც „ბორე“ და შედგება ორი სიტყვისგან „ბო“ (მოდი) და „რე“ (უყურე). აქედან გამომდინარე, სიტყვა „შემქმნელი“ მიმართულია ყველა ადამიანისადმი, როგორც მიპატიჟება სულიერი სამყაროს შესაცნობად. („კაბალის გახსნა“ მიხაელ ლაიტმანი)

კაბალისტების ჯგუფები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია შექმნილი. უკვე 2 წელია, რაც ეს ჯგუფი საქართველოშიც არსებობს. 1–3 აპრილს შინდისში ჩატარდა სარკისებური კაბალისტური კონგრესი, მასში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული კაბალისტები.

თემურ მიქაუტაძე: მთელი ცხოვრება სამხედრო პირი ვიყავი. მქონდა ყველაფერი, რაც კი შეიძლება ადამიანმა ინატროს, მაგრამ ვერ დავკმაყოფილდი. პასუხი შეკითხვაზე რისთვის გავჩნდი? ვერავინ გამცა. შემდეგ ბიბლიის შესწავლა დავიწყე. გაჩენილმა კითხვებმა კი კაბალამდე მომიყვანა. ჩვენ არ ვართ იაღოველები და არ გვგონია, რომ ხელებს გავშლით და გავფრინდებით. ვართ პრაქტიკული ადამიანები, რომლებსაც გვსურს სულიერი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა. კაბალა ყოველთვის იყო, მაგრამ ხალხი მზად არ იყო ამ მეცნიერების მისაღებად. ამ მეცნიერების სათავე არის ისრაელში, იერუსალიმში. როდესაც პირველმა ადამიანმა – ადამმა დასვა კითხვა ვინ ვარ მე? საიდან მოვდივარ? რა არის ჩემი დანიშნულება? და იმავდროულად დაიწყო ბუნების მოვლენების შესწავლა. ეს არ არის რელიგია, ეს არის მეცნიერება. ადამს მოსდევს აბრაამი, რომელმაც შექმნა წიგნი „სიცოცხლის ხე“. მათ კი მეცნიერების მთელი პლეადა მოჰყვებათ.

– რის მიღწევას ცდილობთ?

– საკუთარი თავი იმ დონემდე უნდა გავზარდოთ, რომელზეც კაბალის წიგნებშია მოთხრობილი. ჩვენ, კაბალისტები, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სამყარო სიმრავლეების სახით არ არსებობს, ის ერთია და მუდამ ერთადერთი იყო. სამოთხეში დაბრუნება კი იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავი იქ დაინახო, ახლაც იქ ვართ, იქ, სადაც არ არის დრო და სივრცე, იქ, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ერთი მდგომარეობა, სულიერი სიმშვიდე და ნეტარება სუფევს. მაგრამ ეს, რომ გააცნობიერო აქ ბევრი მუშაობა გჭირდება. კაბალის პირველი პრინციპი არის „გიყვარდეს მოყვასი შენი“. ჩვენ ერთი სულიერი ორგანიზმის შექმნას ვცდილობთ.

– ბატონო თემურ, რას ემსახურება კაბალისტური კონგრესი?

– ჩვენი შეკრება კაბალის მეცნიერების მასებში გავრცელებას ემსახურება. კაბალის სწავლება თავიდან ისრაელში მიმდინარეობდა, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ყოველდღე, განსაზღვრულ დროს ადამიანებს შეუძლიათ ინტერნეტის საშუალებით უყურონ კაბალის გაკვეთილებს. მოყოლებული ახალი ზელანდიიდან კანადამდე. პრაქტიკული მეცადინეობის პროგრამაში, ყოველ 3-4 თვეში ერთხელ, რომელიმე წერტილში ხალხის თავმოყრა შედის. ჩვენ გვყავს სტუმრები უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ისრაელიდან. ნელ-ნელა ვიზრდებით და ვფართოვდებით.

იური ნადირაშვილი: ისრაელში, ქალაქ პეთახტიკვაში ვცხოვრობ. მე, როგორც ყველა ადამიანს, მეგონა, რომ საკუთარი ცხოვრების მართვა შემეძლო, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ არსებობდა რაღაც – რაც გვიმორჩილებდა. უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა გამაჩნდა. შემდეგ კაბალის მეცნიერებას გავეცანი და მივხვდი, რომ სწორედ ეს იყო, რაც მჭირდებოდა. და, აი, უკვე 11 წელია, რაც კაბალისტი ვარ. როდესაც ადამიანი შინაგან სიმშვიდეს არ განიცდის, აუცილებლად შემოგვიერთდება. საკუთარი თავის შეცნობა ადამიანმა ადამის დროს დაიწყო, კაბალაც, სწორედ, ამ დროიდან მოდის, უბრალოდ, ადამიანები არ იყვნენ მზად მის გასაცნობიერებლად და მისაღებად. კაბალის ყველა წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ უნდა მივიღოთ ჩვენს გარშემო არსებული ძალა და როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი. ყოველ ადამიანში არის ის ძალა, რაც შემოქმედმა გვიბოძა, სწორედ ეს უნდა გვიყვარდეს ერთმანეთში. შეიძლება ადამიანი, მაინცდამაინც, კარგი თვისებებით არ იყოს დაჯილდოებული, მაგრამ ყოველ მათგანში დევს ის ნაპერწკალი, რის გამოც იგი უნდა შევიყვაროთ. არ აქვს მნიშვნელობა რა სარწმუნოების, თუ ეროვნების ადამიანია იგი. კაბალისტებისთვის მთავარია ადამიანის სული, ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

ნინო შავაძე

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლევინი

მეცორა

კვირის საკითხავი თავი „მეცორა“ განიხილავს „კეთრით“ დაავადების შემთხვევებს – რა სიმპტომებით აღინიშნებოდა და როგორ იკურნებოდა.

ამ დაავადებას სულიერი საწყისი ჰქონდა, არავითარი კავშირი არ არსებობდა სამედიცინო ტერმინთან „კეთრი“ და ავადდებოდნენ ცოდვების გამო. „კეთრი“ ჯერ სახლს უჩნდებოდა, თუ ადამიანი არ მოინანიებდა, ტანსაცმელზე გადადიოდა და მხოლოდ ამის შემდეგ – სხეულზე.

ძირითადად ამ დაავადებით ავადდებოდნენ ავსიტყვაობისათვის. მისი ებრაული დასახელება „მეცორა“ სწორედ ამაზე მიგვითითებს – „მოცი შემ რა“ – „ჭორების გამავრცელებელი“. ეს მართლაც უმძიმესი ცოდვაა და, სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა მაინც სცოდავს.

ერთხელ რებე გურიდან თავის ხასიდს (მოწაფეს) რაღაც ცოდვისათვის საყვედურობდა. ხასიდი თავს იმით იმართლებდა, რომ ადამიანთა უმრავლესობა ამაში სცოდავდა, რაზედაც რებემ უპასუხა: „შენ გგონია ჯოჯოხეთში ცოტა ადგილია? ყველას ეყოფა“.

ბრძენები ყვებიან: „ერთხელ რაბან გამლიელმა თავისი მონა ტოვი ბაზარში გააგზავნა და ორი ნაჭერი ხორცის – კარგისა და ცუდის ყიდვა დაავალა. ტოვამ ორი ენა მოუტანა და უთხრა: მასზე უკეთესი არაფერია, როცა ის კეთილია და არაფერია უარესი, როცა ის ავია. არ შეიძლება ვინმეზე ცუდის თქმა, მაშინაც კი, თუ ეს სიმართლეა. მით უმეტეს, როცა ადამიანი შეალამაზებს მას და შეცვლის მომხდარის არსს. სიმართლის მოყოლა ემოციის გარეშე ხომ შეუძლებელია.

ისრაელის ქალაქებში დადიოდა ერთი ვაჭარი და ყვიროდა: „ვის უნდა სიცოცხლის ელექსირი?“ დაინტერესებულ პირს კი თეილიმს უწვდიდა და ეუბნებოდა დავით მეფის სიტყვებს: „ვინაა ადამიანი სიცოცხლეს მოწყურებული“ „დაიცავი (შეაკავე) ენა შენი ავისაგან და ბაგენი შენი – სიცრუისაგან. ტყუილად კი არ დაარქვეს ავსიტყვაობის ამკრძალავი კანონების შემსწავლელ წიგნს „სიცოცხლის წყურვილი“ – „ხაფეც ხაიმ“. მის ავტორს რაბი ისრაელ მეირ ქოენს , გიცავდეთ მისი დამსახურებანი, სახელით არავინ მოიხსენიებს, მასაც „ხაფეც ხაიმს უწოდებენ“. თავად რაბი ჩუმი ადამიანი არ ბრძანდებოდა, მაგრამ მის სიტყვებში ავსიტყვაობის ნატამალიც კი არ იყო. გვიყვებიან, რომ ერთხელ ბელორუსიაში, სადაც ხაფეც ხაიმი ცხოვრობდა, თემის უფროსებმა გამოაცხადეს, რომ უმცირებენ ღარიბებს ფესახის დახმარებას. მოხუცმა რაბიმ შეკრიბა თემი სინაგოგაში და მიმართა მათ: „ჭეშმარიტ საყაროში (ჩემი სიკვდილის შემდეგ) შემეკითხებიან ზეციურ სასამართლოზე, თუ როგორ არიგებენ ცედაკას (დახმარებას ღარიბებისათვის) თქვენს თემში? რა უნდა ვუპასუხო? თუ ვეტყვი, რომ გულუხვად – მოვიტყუები და თუ ვეტყვი, რომ არასაკმარისად, ავსიტყვაობა გამომივა. გთხოვთ, გაეცით ცედაკა გულუხვად, რომ ვთქვა – იძლევიან ცედაკას, როგორც საჭიროა.“

ადამიანი უხეში სიტყვების ხმარებასაც უნდა მოერიდოს, და, მით უმეტეს, სალანძღავისა, ეს ხომ უკვე ავსიტყვაობის ერთ-ერთი სახეობაა. რაბი შმუელ სალანტერზე ამბობდნენ, რომ ის „ტრეფ“ (არაქაშერი) სიტყვასაც კი არ ხმარობდა და თუ ხორცი „ტრეფ“-ი იყო, ამბობდა – მიყიდეთ ის სხვა ხალხებს“.

რატომ წარმოსთქვამს ადამიანი „ლაშონ ჰარას“? ხშირად იმიტომ, რომ არ იცის თორა და არ ესმის მისი სიმძიმე. ტაძრის დანგრევის შემდეგ ხომ „კეთრი“, ამ ცოდვის ხილული სასჯელი აღარ არის. მაგრამ ახლა ლაშონ ჰარას წარმოთქმა სულზე ტოვებს ლაქებს – „კეთრს“.

მოგვითხრობენ ბერმაღელი რაბი რაფაელის შესახებ, რომელიც ასე ამბობდა: „120 წლის სიცოცხლის შემდეგ წარვსდგები ზეციურ სასამართლოზე და გავიმართლებ თავს ჩემს მიერ ჩადენილი ცოდვებისათვის. მე შემეძლება თითქმის ყველა ჩემი ცოდვა გავამართლო გარდა სიამაყის ცოდვისა. (ძალიან ხშირად სწორედ სიამაყეა ადამიანის ავსიტყვაობის წყარო, როდესაც ის ვინმეს ზემოდან უყურებს და დასცინის). როცა შემეკითხებიან, თუ რატომ ვერ ჩავწვდი თორას ღრმად, ვუპასუხებ, რომ მე ერთი უბრალო ადამიანი ვიყავი და ვერ შევძელი თორის სიღრმეების გაგება. იმ საყვედურზე, თუ რატომ არ ვკმაყოფილდებოდი მცირედით, სუსტი ჯანმრთელობა მქონდა და ამიტომ ვაძლევდი თავს უფლებას მიმერთმია პურისა და წყლის გარდა სხვა რაიმეც. თუ მკითხავენ, რატომ არ გავილე დიდი ცედაკა, ჩემს სიღარიბეზე მივუთითებ. მაშინ კი მეტყვიან, თუ შენ უბრალო, ღარიბი და სუსტი ჯანმრთელობის ადამიანი იყავი, რიღათი ამაყობდი? აი ამ კითხვაზე კი ვეღარაფერს ვუპასუხებ.“

გამჩენმა ინებოს, რომ ჩვენს ბაგეთაგან მხოლოდ თორის სიტყვები, სიკეთე და სიმართლე წარმოითქვას.

ვაშინგტონის ფორუმი

მ. ელაშვილი, ალ. მაშკევიჩი

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ვაშინგტონის ფორუმში, რომელიც საერთაშორისო ებრაელი ლიდერების საკითხებს მიეძღვნა. კონგრესის დელეგაცია პრეზიდენტ ალექსანდრე მაშკევიჩის და ვიცე-პრეზიდენტის — მერაბ ელაშვილის მეთაურობით სხვებთან ერთად განიხილავდა „კერენ აისოდის“ მხარდასაჭერად ფინანსების შეგროვებას. ეს ფორუმი რეგულარულად კრებს ებრაელ ქველმოქმედებს.

წელს ფორუმის ცენტრი ვაშინგტონი გახდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში 100 დიდი ფილანტროპი შეიკრიბა, ისინი მხარს უჭერენ ისრაელში სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას. ასევე ფორუმზე იმყოფებოდნენ მსოფლიოში მნიშვნელოვანი ებრაული ორგანიზაციების ლიდერები, ოფიციალური ისრაელის ხელისუფლების და საზოგადოებრივი სტრუქტურების წარმომადგენლები. განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ შელდონ ადელსონის მონაწილეობა, ეს პიროვნება მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ებრაელი და ა.შ.შ- ში ქონების სიდიდით მესამე ადგილზეა. 2007 წელს დაარსებული ფონდი, ისრაელისა და ებრაელების სასიკეთოდ, 200 მილიონ დოლარს ხარჯავს.

ფორუმის გახსნის დღეს სასტუმროში „სენტ-რეჯისი“ მისასალმებელი სიტყვა ისრაელის ელჩმა ა.შ.შ –ში მაიკლ ორენმა და ებრაული სააგენტოს თავმჯდომარემ ნათან შარანსკიმ წარმოთქვეს.

რომის პაპის დაჯილდოება

ამ დღეებში, როდესაც მსოფლიოში პაპი იოანე პავლე II–ის გარდაცვალებიდან მეექვსე წლისთავს აღნიშნავენ, „სიმონ ვიზანტალის ცენტრმა“ პაპი მედალით — ქრისტიანთა და ებრაელთა შორის ურთიერთობის განვითარებისათვის დააჯილდოვა. ამავე ჯილდოთი არიან დაჯილდოებულნი: 23 წლის წინ გარდაცვლილი ამერიკელი დიპლომატი ხირამ ბინგამ IV, რომელმაც მარსელში კონსულად ყოფნის დროს, ჰიტლერის მიერ დაპყრობილი საფრანგეთიდან, გაქცევის საშუალება ბევრ ებრაელს მისცა და 46 წლის წინ გარდაცვლილი, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი — უინსტონ ჩერჩილი.

ვულოცავთ!

სასიამოვნო ცნობა მივიღე ამერიკის შეერთებული შტატების ფლორიდის ატლანტის უნივერსიტეტიდან: ჩვენი სასიქადულო თანამემამულე, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამოყენებითი მექანიკის დარგის მსოფლიოში წარჩინებული მეცნიერი ისაკ ელიშაკოვი არჩეულია ევროპის მეცნიერების და ხელოვნების აკადემიის წევრად. ეს აკადემია დაარსებულია 1990 წელს ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში, აერთიანებს ევროპის 1300–მდე მეცნიერსა და ხელოვანს, მათ შორის 15 ნობელის პრემიის ლაურეატია. მოიცავს ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, მედიცინას, ხელოვნებას, ბუნებათმცოდნეობას, სოციალურ მეცნიერებებს, სამართალმცოდნეობას, ეკონომიკურ-ტექნიკურ და ეკოლოგიურ მეცნიერებებს, მსოფლიო რელიგიებს და გამიზნულია ევროპისა და მთელი მსოფლიოს წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად. რაოდენ სასიხარულო და საამაყოა, რომ მათ რიგებში არჩეულია ქუთაისში დაბადებული, სოხუმის საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამამთავრებელი, მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტი (ლენინური სტიპენდიანტი), ისრაელის ხაიფის ტექნიონის აერონავტიკის ფაკულტეტის პროფესორი, ამჟამად ფლორიდის ატლანტის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი — ისაკ ელიშაკოვი.

ვულოცავ ჩემს კოლეგასა და მეგობარს ისაკ ელიშაკოვს ამ დამსახურებულ დიდ წარმატებას და ვუსურვებ შემდგომ მიღწევებს მეცნიერების მწვერვალების დაპყრობასა და პირად ცხოვრებაში.

მეცნიერებათა დოქტორი **მოშე დანიელი (დანიელაშვილი)**

ისრაელი, არიელის საბუნებისმეტყველო ცენტრი

რეპატრიანტის წარმატება

დავით კაცობაშვილი 5 თვეა, რაც გადავიდა ისრაელში თავის ოჯახთან ერთად. ის არის საქართველოს ჩემპიონი აიკიდოში. მან ვარჯიში ისრაელშიც განაგრძო. მარტში ისრაელში ჩატარდა ჩემპიონატი SHI-DO-KAN აიკოდოში, სადაც მანაც მოიპოვა მე-3 ადგილი. ვულოცავთ მის ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს!

რუსეთის მდიდარი ებრაელები

რუსეთის ყველაზე მდიდარი 500 ადამიანის სიაში - ათეულობით ებრაელი ბიზნესმენია, რომელთა ნაწილი ღიად აცხადებს, არ მალავს თავის წარმომავლობას და ეხმარება ებრაული პროექტებს განხორციელებას. ნაწილი კი „ჩრდილში“ დარჩენას არჩევს.

ვინ შედის რუსეთის ბიზნეს-ელიტაში?

2011 წლის რუსი მილიარდერების რეიტინგს, რომელიც 14 თებერვალს ჟურნალ „ფინანსიმ“ გამოაქვეყნა, თან ახლავს საინტერესო ინოვაციები. არაერთი დიდი ბიზნესმენის სახელის გვერდით სამი ორგანიზაციის სიმბოლოა წარმოდგენილი - პარტია „ერთიანი რუსეთი“, მართლმადიდებლური ეკლესია და... რუსეთის ებრაული კონგრესი (რეკ). „მენორას“ ნიშნით გამორჩეულია 9 ადამიანი, რომლებიც საკუთარ თავს რეკ-ის ნაწილად - რუსეთში ებრაული დიასპორის მთავარ არარელიგიურ სტრუქტურად პოზიციონირებენ. დეტალურად შევჩერდეთ ამ ღია ებრაელ მულტიმილიონერებზე.

მიხეილ ფრიდმანი (№8 სიაში) და **გერმან ხანი** (№13) - კარგა ხნის პარტნიორები,„Альфа-Групп“-ის დამაარსებლები და ბენეფიციარები, კონსორციუმის თანადამფუძნებლები. უკანასკნელი ნავთობმომპოვებელი გიგანტის მფლობელნი. ორივე ებრაელი წარმოშობის არიან.

ვიაჩესლავ (მოშე) კანტორი (№75 1,45 მილიარდი დოლარი) - „აკრონისა“ და მისი შვილობილი საწარმოების მფლობელი, რომლებიც მსოფლიო მინერალური სასუქების წარმოებაში ერთ-ერთ უმსხვილეს ქიმიურ ჯგუფს წარმოადგენენ. ევროპის ებრაული კონგრესის (ეეკ) პრეზიდენტი. საბჭოთა პერიოდში კოსმოსური მრეწველობის დარგში მუშაობდა. კანტორი - ჯიშიანი ცხენებისა და XX საუკუნის ხელოვნების ნიმუშების დიდი მოყვარულია.

ვადიმ მოშკოვიჩი (№88) - ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი, ფედერაციის საბჭოს სენატორი 1,2 მილიარდი დოლარის კაპიტალით. იგი „რუსაგროს“ - შაქრის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელის მფლობელია. ბელგოროდის ოლქის მოსახლეობამ, სადაც მოშკოვიჩმა თავისი ქარხნები განათავსა და ხალხი სამუშაო ადგილებით უზრუნველყო, სენატორად აღიარეს; არეის ბრენდის „თეორი არწივის“ ექს-მფლობელი (სარეკლამო რგოლები 1990 წლებიდან რუსულ ფოლკლორშია შესული).

დავით იაკობაშვილი (№134 რეიტინგში) – 839 მილიონი დოლარის მფლობელი, ქართველი ებრაელი, ბოლო დრომდე - კვების სამრეწველო კომპანია „ვიმმ-ბილლ-დანნის“ ერთ-ერთი მთავარი აუქციონერი. ევრ-აზიის ებრაული კონგრესის (ეაეკ) ვიცე-პრეზიდენტი.

ალექსანდრე ჩიგირინსკი (№215; 490 მილიონი დოლარი) - დეველოპერი, „Мосинжстрой“-ის ყოფილი მთავარი აქციონერი. წარსულში - „Нефтяной“-ის კონცერნის პრეზიდენტი.

ბორის მინცი (№247; 430 მილიონი დოლარი) - ფინანსისტი, ფინანსური კორპორაცია „Открытие“-ს საბჭოს დირექტორთა ხელმძღვანელი,წარსულში მსხვილი რეგიონალური და ფედერალური ჩინოვნიკი, შემდეგ მედია-მენეჯერი (РенТВ-ის ტელეარხის გენდირექტორი). გახლდათ „მემარჯვენე ძალების საბჭოს“ ერთ-ერთი აქტივისტი.

ბორის ბელოცერკოვსკი (№474; 160 მილიონი დოლარი) - პეტერბურგის ბიზნეს-საზოგადოების ერთ-ერთი ლიდერი,„вендинг“--ის მეფე. წარსულში სათამაშო ინდუსტრიის ერთ-ერთი მეფეთაგანი (რუსეთში ამ ბიზნესის მკვეთრ შეზღუდვამდე), სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების მუდმივი წევრი.

მილიარდერები

ამავე რეიტინგში შეინიშნება ებრაული წარმოშობის ერთ-ერთი ყველაზე „მოკრძალებული“ მილიარდერის მკვეთრი ზრდა. მე-15 ადგილი რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში **ლეონიდ მიხელსონმა** დაიკავა - 9,15 მილიარდი დოლარის ქონების მფლობელი,გაზმომპოვებელი კომპანია „ნოვატეკის“ დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე. მისი ახლობელი **ლეონიდ სიმანოვსკი** რეიტინგში 48-ე ადგილს იკავებს (2,65 მილიარდი დოლარი). ამჟამად სიმანოვსკი ენერგეტიკაში სახელმწიფო დუმის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა.

მოცემული რეიტინგის ყველაზე არასაჯარო ებრაელები - პრემიერ-მინიტრ ვლადიმერ პუტინთან დაახლოებული პირები, ძმები **არკადი და ბორის როტენბერგები** (63 და 64 ადგილები; 1,75 მილიარდი დოლარი თითოეულზე). ისინი ძალიან იშვიათად ჩნდებიან პრესის წინაშე და თავიანთ წარმომავლობას არ აფიშირებენ. ძმები „ინვესტკაპიტალბანკის“ (უფა) აქციათა მსხვილი პაკეტების, კომპანია „ჩრდილოეთ ევროპის მილების პროექტი“, ბანკი „ჩრდილოეთი საზღვაო გზა“, „თბილენერგო კომპანია „მოსენერგოს“ ღია საააქციო საზოგადოების მფლობელები არიან.

79-ე ადგილზეა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მთიელი ებრაელი **გაბრიელ იუშაევი,** რომლის ქონება 1,3 მილიარდ დოლარს შეადგენს, ბოლო დრომდე - „ვიმმ-ბილლ-დანნის“ უმსხვილესი აქციონერი. 2002 წელს ცნობილი გახდა, რომ მას ჰქონდა ნასამართლეობა ყაჩაღობისათვის და ცხრა თვე საპატიმროში გაატარა. ამავე თემს ეკუთვნის OAO „ევროპის მოედნის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მოსკოვის ჩერქიზოვკის ბაზრის ყოფილი თანამფლობელი **ზარახ ილიევი** და კომპანია „კიევის მოედნის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, OAO სამშენებლო „საფრა ინსტრუმენტსის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **გოდ ნისანოვი** (130 და 131; 850 მილიონი დოლარი თითოეულს).

„ფინანსის“ რეიტინგში – კიდევ არანაკლებ 20 ებრაული წარმომავლობის ბიზნესმენია, სადაზღვევო ბიზნესის სფეროში, ქიმიურ ინდუსტრიაში, უძრავი ქონების, ფინანსურ სექტორში, ასევე „მაღალი ტექნოლოგიების“ და ინტერნეტის სფეროში. ისინი არ ახდენენ ებრაულ ორგანიზაციებთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციას.

ისიც აღვნიშნოთ, რომ ჟურნალ „ფინანსის“ ვერსიის თანახმად, სენატორი **ბორის შპიგელი** – რუსულენოვანი ებრაელების მსოფლიო ებრაული კონგრესის პრეზიდენტი – არ შედის რუსეთის ყველაზე მდიდარი 500 ადამიანის რიცხვში.

პორტალმა „Izrus“ მიმართა რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელს მიხეილ სავინს. მან თქვა: „ჩვენი კონგრესი დღეს რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნების უმსხვილესი ებრაული საქველმოქმედო ფონდია“.

კონგრესის პრეზიდენტმა იური კანერმა ებრაული თემის სხვადასხვა ნაწილის მიზიდვის საშუალებით, რეკ-ის საფინანსო ბაზის გაფართოებაზე აიღო კურსი. ამიტომ ჟურნალ „ფინანსის“ რეიტინგში, მომავალ წელს ჩვენ მოველით კიდევ უფრო მეტი გვარის გვერდზე რეკ-ას ემბლემის აღმოჩენას. რუსეთის ებრაული კონგრესი – ეს არის ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სიმბოლო, ჩვენი ქვეყნის წამყვანი ებრაელი მეცენატების ელიტარული კლუბი. მაგრამ ეს არ არის დახურული კლუბი. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს რწმუნებულებს შორის არა მხოლოდ დიდი ბიზნესმენები არიან, არამედ საქმიანი საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც. ჩვენ ღია ვართ ყველასათვის“.

რუსულმა ეკონომიკურმა ჟურნალმა „ფინანსი“ კვლავ გამოაქვეყნა რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანების „რეიტინგი“. მეხუთე და მერვე ადგილებზე ებრაელები არიან, რომლებიც ოდნავ შეავიწროვეს სიაში.

ჟურნალ „ფინანსის“ მორიგი სიის მიხედვით, 2010 წლის შედეგების თანახმად, „რეიტინგში“ ცოტა რამ შეიცვალა. თუმცა, მასში შეინიშნება პროგრესი და, საერთოდაც, ოლიგარქები ჯერ არ მისულან 2008 წლის კრიზისამდელ მდგომარეობამდე. რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანების ქონება, წინა წელთან შედარებით, ჯამში გაზრდილია და 185 მილიარდ დოლარს აღწევს (იგი 2008 წელს 75,9 მილიარდ დოლარს, ხოლო 2009 წელს 140 მილიარდს შეადგენდა).

„რეიტინგის“ პირველ ათეულში,ისევე როგორც წინაზე, ორი ებრაელია, თუმცა ისინი რამდენიმე პოზიციით ჩამოქვეითდნენ. აი, სრული სია:

1. ვლადიმერ ლისინი – 28,3 მილიარდი (გასულ წელს 1 ადგილი)
2. მიხეილ პროხოროვი – 22,7 მილიარდი (გასულ წელს მე-2 ადგილი)
3. ალიშერ უსმანოვი – 19,9 მილიარდი (გასულ წელს მე-7 ადგილი)
4. ოლეგ დერიპასკა – 19 მილიარდი (გასულ წელს მე-9 ადგილი)
5. რომან აბრამოვიჩი – 17,1 მილიარდი (გასულ წელს მე-3 ადგილი)
6. ალექსეი მორდაშოვი – 17,05 მილიარდი (გასულ წელს მე-9 ადგილი)
7. სულეიმან კერიმოვი – 16,9 მილიარდი (გასულ წელს მე-4 ადგილი)
8. მიხეილ ფრიდმანი – 15 მილიარდი (გასულ წელს მე-5 ადგილი)
9. ვლადიმერ პოტანინი – 14,3 მილიარდი (გასულ წელს მე-10 ადგილი)
10. ვაგიტ ალეკპეროვი – 10,9 მილიარდი (გასულ წელს მე-9 ადგილი)

რეიტინგში მე-11 ადგილზე– 10,75 მილიარდის ქონებით – ვიქტორ ვექსელბერგია,„სკოლკოვოს“ ფონდის ხელძღვანელი, მე-13 ადგილზეა Genesis ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი და სპონსორი გერმან ხანი – 10,2 მილიარდით (ორი პოზიციით ჩამოქვეითდა). მისი კოლეგა პიოტრ ავენი 35-ე ადგილზე აღმოჩნდა 3,8 მილიარდის მაჩვენებლით. 75-ე ადგილზე 1,45 მილიარდი დოლარის ოდენობით ევროპის ებრაული კონგრესის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კანტორია. 97-ე ადგილს 1,1 მილიარდით ტელმან ისმაილოვი, ხოლო 140-ე ადგილს (790 მილიონი) **ვიაჩესლავ მირილაშვილი (მიხეილ მირილაშვილის ვაჟი)** იკავებენ.

დები: ლიდა ელიაშვილი და ირა კაცობაშვილი, ძმა ილია დავარაშვილი, ოჯახებით იუწყებიან, რომ ა.შ.შ.-ს ქ. ვაშინგტონში მძიმე ავადმყოფობის შედეგად 2011 წლის 25 მარტს გარდაიცვალა კეთილშობილი და გამორჩეული მეუღლე, დედა და ბებია **სარა მოსეს ასულ დავარაშვილი (ჯინჯიხაშვილი),** რის გამოც მის შვილებს რომან და თემურ ჯინჯიხაშვილებს თანაგრძნობას უცხადებენ მძიმე მწუხარებაში.

სოსო და დავით დავარაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მამიდის **სარა მოსეს ასულ დავარაშვილის (ჯინჯიხაშვილის)** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის შვილებს რომან და თემურ ჯინჯიხაშვილს საყვარელი და შეუცვლელი დედის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს მარინა და ანზორ შაოშვილებს მამის **მოშე შაოშვილის გარდაცვალების გამო.**

ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორი ელენე ბერკოვიჩი და მისი თანამშრომლები ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ **ანზორ შაოშვილს** მამის გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003